# სახალხო გაზეთი

№ 125 ხუთშაბათი, 7 ოქტომბერი, 1910 წ. წელიწადი პირველი. № 125

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ., 4 საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ ხავერის სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11,ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერალი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს ხელ არ ინახება, ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ.

ფოსტის ადრეს: Тифлисъ, Большая Ванкская ул. N 12, Семену Пашалашвили.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



ამ წლის 7 მაისიდან გამოდის

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

## სახალხო გაზეთი

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექმნება კვირეული

## სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური ◆——

——◆ დამატებით ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

****ხელის-მომწერთა საყურადღებოდ****

კანტორა აცხადებს, რომ გაზეთის ყოველ მიუღებლობაზე ხელისმომწერმა უნდა აცნობოს ხოლმე, რათა ყურადღება მიაქციოს გაზეთის წესიერად მიღებას.

„სახალხო გაზეთის" კანტორა ღიაა ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამდ.

წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ, Большая Ванкская ул., № 12, Семену Пашалишвили.



ბაგრატ ნიკოლოზის ძე ქავთარაძე, ბეჟან როსტომის ძე გამყრელიძე, მიხეილ გიორგის ძე აბაშიძე, ვიქტორ ბაგრატის ძე და სოფიო ალექსანდრეს ასული ქავთარაძეები აუწყებენ ნაცნობთა და ნათესავთ გარდაცვალებას პირველი სამნი—ძვირფასის სიმამრის, ხოლო უკანასკნელნი—საყვარლის პაპის

### ივანე ნიკოლოზის ძის აბაშიძისას,

გამოსვენება 8 ოქტომბერს შორაპნის მაზრის ს. ჭალის წმ. გიორგის ეკკლესიაზე. (1—121—1)

ქვრივი პელაგია ნიკოლოზის ასული აბაშიძისა, დარია ივანეს ასული ქავთარაძისა, ნინა ივანეს ასული გამყრელიძისა, მაკრინე ივანეს ასული აბაშიძისა, გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებას: პირველი—საყვარელის მეუღლის, ხოლო დანარჩენნი—ძვირფასის მამის

### ივანე ნიკოლოზის ძის აბაშიძისას

ს. ჭალაში, შორაპნის მაზრაში. დაკრძალვა ჭალის წმიდის გიორგის ეკკლესიის გალავანში რვა ღვინიობისთვეს, 1910 წელსა, დილის ათ საათზე, (1—120—1)

6 ღვინობისთვეს, დილის 2 საათზე, ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

### ანნა ნიკოლოზის ასული გოგოლაძე,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ დედა მისი მარიამ გიორგის ასული გოგოლაძე, და მისი ნინა ნიკოლოზის ასული და სიძე კონსტანტინე თომას ძე ხახანაშვილები. პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 7 საათზე, კვირიაცხოვლის ქუჩაზე, სახლი № 25. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. (2—124—1)



ტელეფონი № 862. **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 6.

ხუთშაბათს, 7 ოქტომბერს, 1910 წელს,

ქართულ დრამატიულ საზოგად. ჯასის მიერ წარმოდგენილი იქნება

ქლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით

ი. გორდინისა თარგ. ვ. შალიკაშვილისა.

### „სატანა"

დრამა 5 მოქმედებად, და 6 სურათად.

ახალი დეკორაციები პროლოგში დახატული ა. ნოვაკის მიერ.

მონაწილეობენ ქ-ნნი: დავითაშვილი ნ., ვიქტორელი მ., ლექაავა ო., ლოლუა ა., პიერრეტა ა., ქილარჯიშვილი მ., შოთაძე ა., ჯავახიშვილი ნ. ბ-ნნი. ალექსი-მესხიშვილი, გუნია ვ., გვარამძე ნ., ივანიძე ი., ყივიძე ი., ზარდალიშვილი ი., მდივანი ბ., მატარაძე ვ., მამფორია ი. შალიკაშვილი ვ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ადმინისტრაცია ქართ. დრამ. საზოგადოება. რეჟისორი ვ. ალექსი-მესხიშვილი,

ადგილების ფასი: გალერეია 20—40 კ.-მდე, პარტერი 50 კ.—3 მ., ლოჟები 5 მ.—10 მ. კუპონები ლოჟებში შეგირდებისთვის 50 კ.

დამსწრეთა საყურადღებოდ: თეატრის ადმინისტრაცია ამით ყველას აუწყებს, რომ მოქმედების დაწყების შემდეგ სათეატრო დარბაზში არავის არ შეუშვებს, ამიტომ მესამე ზარის შემდეგ ყველანი თავ თავის ადგილზე უნდა ისხდნენ.

მზადდება წარმოსადგენად: „გამხმარი ფოთოლი", ნ შიუკაშვილისა. „ღრი ვნება", ბატაილისა; „ქალის ჭკუა".



## ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვეტცელის" სასტუმროსთან.

ტელეფონი № 590.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება, დღეც და ღამეც.

საამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

ლომბაშიძე ვ. დ.: შინ. და ბავშვ. ყოვ. დღე; გარდა კვირისა 11—12 საათ.

გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. 10¹/₂—11 ს.

გურკო გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 საათ.

კარშინი ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2¹/₂—3¹/₂ ს.

ნალბანდიშვილი გ. გ. შინ., სამშ. და სამ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარას. 1—2 ს.

მუსხელიშვილი ვ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 12—2 ნახ. ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.

ფირალოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

პაპოვი ზ. ა. ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე 2—2-ნახ. ს.

ხოზოლევსკი გ. გ. ქირურ., ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაცია, კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შედავათ. საფასურით. (200—6.—292)



### პროვინციაში გაზეთების გამგზავნი

## ბიურო

რომელსაც შეადგენენ გაზეთები: „სახალხო გაზეთი", „საქმე", „ზაკავკაზია", „ნოვაიარეჩი" და ჟურნალები „მათრახი და სალამური", „ერი" და „თეატრი და ცხოვრება", ჰყავს შემდეგი აგენტები:

| | |
|---|---|
| გორში—მ. არჩვაძე. | ფოთში—ს. ორაგველიძე. |
| მიხაილოვში—ს. ბატმანოვი. | ბათუმში—გ. მახარაძე. |
| ყვირილაში—ი. გაჩეჩილაძე. | თელავში—ონიკაშვილი. |
| ჭიათურაში—ებანოიძე. | სიღნაღში—ხატიევი. |
| ქუთაისში—ი/ა. კვიცარიძე. | ბაქოში—ნ. აბაშიძე. |
| სამტრედიაში—ი. ურუშაძე. | სოხუმში—ნ. ჯანანია და |
| ლანჩხუთში—მატიტაშვილი. | ერევანში—ა. მესანოვი. |

### საჭიროა აგენტი

ელისავეტპოლში (განჯა), და ყარსში, ალექსანდროპოლში, ჩოხატაურში, ნოვოროსიისკში, ეკატერინოდარში, ნუხაში, შემახაში, ვლადიკავკავში, არმავირში, დონ.-როსტოვში, ჯულფაში და დარუბანდში!

აგენტობის მსურველებმა უნდა მიმართონ ბიუროს გამგეს ერასტი დავითის ძეს გორდელაძეს ამ ადრესით: Тифлисъ, Эриванская площадь д. Гургенова, общій входъ съ нотаріусомъ Мгебровымъ. Эрастію Давидовичу Горделадзе.



## რ. ა. პორტუგალოვისა

ჩამოიტანა და მოიტანა ვარშავიდან, ოდესიდან და პეტერბურგიდან

## დიდ ძალი

◀ ქალებისა და ბავშვების ზედა ტანისამოსი და კოსტიუმები, ▶

### იუბკები, ზედა და ქვედა და ხალათები

კაცების აუარებელი პალტოები, კოსტიუმები, წვიმის დროს სატარებელი პალტოები და წამოსასხამები, საზღვაო წამოსასხამები და აგრეთვე ბავშვების პალტო და კოსტიუმები. რადგანაც ყველა ზემოხსენებული საქონელი გადმოცემული მაქვს სავო მისიოდ, ამიტომ იაფად იყიდება, ვიდრე სხვა მაღაზიებში.

ვინც ჩემგან იყიდის, ძალიან კმაყოფილი დარჩება. მაღაზია მოთავსებულია ნიკოლოზის ქუჩზე «ფაბრიჩნი მაღაზიის» ფირმის ქვეშ. N N 24—25. (50—57—6)


## ნ. ჟორდანიას ნაწერების გამოც.

ზოგიერთი ჩვენი აგენტები ასე გვეკითხებიან:

1), „შეიძლება თუ არა 10 ოქტომბერს შემდეგ გავაგძელოთ ხელის მოწერა?

2), „აქვს თუ არა „კულტურას", „ალიონთან" რაიმე დამოკიდებულობა?

3), „როდის დარიგდება „ალიონის" აღთქმული წიგნები?

4), „შეიძლება თუ არა % %-ბის მომატება?

5), „კულტურას დაპირებულ წიგნებს ის ბედი ხომ არ მოუვის, რაც სხვა გამომცემლობას მოუვიდაო და სხვა.

ყველა ამ შეკითხვებზე, რადგან საითითაოდ ძნელია პასუხის მიცემა ჩვენ გადავწყვიტეთ საერთოთ ყველას ვაცნობოთ შემდეგი:

1), წიგნის გამომცემლობა „კულტურა"ს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, რომ წიგნები უსათუოდ დაპირებულ ვადაზე—საახალწლოთ დაარიგოს. ამიტომ ხელის მოწერის გაგძელება 10 ოქტომბრის შემდეგ, ჯერჯერობით შეუძლებლად მიაჩნია და ამის შემდეგ თუ ამას საჭიროთ დაინახავს, უსათუოდ გაზეთების საშუალებით აცნობებს ყველას.

2), „კულტურა"ს „ალიონთან" არავითარი საქმე არ აქვს, მაგრამ ვიცით რომ „ალიონის" გამგე განთავისუფლდება თუ არა საპყრობილედგან წიგნებს დაურიგებს ხელის მომწერლებს

3), აგენტებს გასამჯელოთ, ეძლევა 15 %; ხოლო ვინც 10 კვიტანციაზე მეტს ვერ გაყიდის, იმას ეძლევა ფულის მაგიერ ერთი წიგნი უფასოთ, ეს გაზეთებშიაც იყო გამოცხადებული. ფოსტის ხარჯს-კი ფულის გამოგზავნაზე და წიგნების ჩაბარებაზედაც გამომცემლობა კისრულობს

ხოლო ვინც თითო წიგნს გამოიწერს, იმან ფოსტის ხარჯათ 40 კაპ. მარკები უნდა წარმოადგინოს წიგნის ფასთან ერთად.

რაც შეეხება „კულტურა"ს გამგეებს აქვს თუ არა დაყენებული საქმე ისე რომ აღთქმა-დაპირება თავის დროზედ შეასრულოს? ჩვენ ვითვალისწინებთ რა თანამედროვე ყოველ მხრივ პირობებს და ერთ წუთსაც-კი არ ვივიწყებთ, რომ ყოველი მხრიდან ანგარიში გავუწიოთ მას, სრული დარწმუნებულნი ვართ, რომ „კულტურა" თავის დანაპირებს შეასრულებს პირნათლათ, მაგრამ მიუხედავათ ამისა, თითონ აგენტები და ხელის მომწერლებიც, რომ დარწმუნებულნი იყვნენ ზემო ნათქვამის სინამდვილეში, მით უფრო, რომ აგენტები ხელის მომწერლებთან ასე თუ ისე პასუხის მგებელნი არიან და გამომცემლობაც აგენტებთან, ჩვენ გადავწყვიტეთ, ადგილობრივ აგენტებთან შეთანხმებით რომ თითონ აგენტებმა იყოლიონ თავისი მხრით სამი საიმედო კაცი, რომლებსაც დაევალებათ, რომ გამომცემლობის მოქმედებას და მის მკვიდრ ნიადაგზე დაყენების საქმეს თვალ-ყური ადევნონ.

ეს მით უფრო საჭიროთ მიგვაჩნია, რომ გამომცემლობას აზრათ აქვს ყველა მისგან გამოცემულ წიგნების ბოლოში ყოველივე დაწვრილებითი ანგარიში იყოს მოქცეული, როგორც გამომცემლობის ისე აგენტების მოღვაწეობაზედ. ამიტომ უმორჩილესათ გთხოვთ ამოირჩიოთ და დაასახელოთ სამი უფრო საიმედო პირი თფილისის აგენტებიდგან. სიას აქვე გაახლებთ.

წიგნის გამომცემლობა „კულტურა"ს წარმომადგენელნი:

(1—122—1) კ. თავართქილაძე და ა. ჯუღელი.


## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

მ. გაშაყმაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

შ. ა. მიქელაძე—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 1¹/₂—2¹/₂ ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, 11¹/₂—12¹/₂ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

ა. პაპოვი—ყელ., ყურ., ცხვირ. და ყოველ დღე 12—1 ს.

ტერ-ნიკოღოსოვი დ. გ.—შინაგ. და ბავშვ. ოთხშაბათობით და კვირობ. 11¹/₂—12¹/₂ საათ.

ე. გ. ფედოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—6.—455)



**ექიმი** ვ. ნ. მაგაკიანი

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. სპეციალურად კუჭისა და ნაწლავებისა. მიიღება დილის 10—11 საათ. (ბავშვთა) საღამოს 5—7 საათი (საზოგადო). მიხეილის პროსპექტი, № 36, ტელეფონი N 388. (100—ზალ.—45)

**ექიმი** კბილისა ნინო რცხილაძე

იზმაილოვზე N 2. გადავიდა გიხ ქუჩ იღებს ავადმყოფთ დილით 10 ს.—2 საათამდე, და საღამოს 5—8 საათამდე.

**ექიმი** ვ. ს. მუსხელიშვილი

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. გიორგის ქ., № 9. (უ)

**ექიმი** ა. ნ. დიასამიძე

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა (უ)

ელექტრონისა და რენტგენის

სამკურნალო

**მიხეილ გედევანიშვილისა**

იღებს ავადმყოფებს კვირის გარდა დილით 12—1; საღ. 6—7 საათ. გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. 20 (0—5.—58)

**ექიმი** ე. ვაშაკიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და ბატარეინის ქუჩების კუთხე N 24. (0—229)

**ექიმი** რ. დ. მაჭავარიანი

იღებს ავადმყოფთ ყოველ დღე დილით 8—11 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე. ბაქინოვის ქუჩა N 7. (თ.—180—4)

**ექიმი** შ. ა. მიქელაძე

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველდღე საღამოს 5¹/₂—6¹/₂ საათამდის. კახეთის ქ. ტელეფონი N 816.

**ექიმი** კბილისა ალ. სოლოღაშვილი

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი** ... ქუთაისში.

იღებს შინაგან და დედათა სენით ავადმყოფებს, ყოველ დღე კვირა უქმის გარდა, დილით 9—12 საათამდე და საღამოთი 6—7 საათ. პუშკინის ქ., სახ. ი. ი. გოკიელოვისა. (25—9—17)


## ტფილისი, 7 ოქტომბერი

**გაფიცვა პარიზში.** პარიზიდან მოსულ ცნობებით იქ ამ ჟამად საყოველთაო გაფიცვაა გამოცხადებული. კლასსთა ბრძოლა, თანამედროვე კულტურის ეს განუყოფელი ელემენტი, ზოგჯერ თითქოს მიყუჩდება ხოლმე, ზოგჯერ კი ისეთის ძალით იფეთქებს, რომ თავზარსა სცემს სახელმწიფოთა მთავრობას და ბურჟუაზიულ სიმდიდრის პატრონებს. კლასსთა ბრძოლის საგანი უცვლელია და მტკიცე, მაგრამ იმისი ფორმები ევოლუციის განიცდიან და ახალ ახალ გზებს დაეძებენ თვალში ამაღლებულ მიზნის მისაღწევად. საფრანგეთის ეხლანდელი გაფიცვა განსაკუთრებით იმით არის საყურადღებო, რომ იგი სინდიკალისტურ ორგანიზაციათა ხელმძღვანელობით გაიმართა. გაფიცულ მუშათა ორგანიზაციები სოციალისტურ პარტიების გარეშე სდგანან. სოციალისტები თუმცა მხარს უჭერენ გაფიცულებს და საფრანგეთის სოციალისტების ცნობილი მესვეური ჟორესი, როგორც გაზეთები ამბობენ, თურმე არა ჩვეულებრივის გულმხურვალეობით ესარჩლება გაფიცულ მუშებს, მაგრამ ამ გაფიცვის წინამძღოლები მაინც თვით მუშები არიან და არა სოციალისტურ პარტიის მოხელეები. მთავრობამ ბრძანება გასცა და უკვე დაატუსაღა გაფიცვის კომიტეტის ხუთი წევრი, მაგრამ მათი მაგიერობა უეცრივ დაიჭირეს მოადგილეებმა, ხოლო თვით გაფიცვის კი ამით არაფერი არ დაჰკლებია. ეხლანდელი გაფიცვა წარმოადგენს სინდიკალისტების პირველ გამოსვლას სოციალურ ბრძოლის ასპარეზზე.

საყურადღებოა, რომ საფრანგეთის მთავრობის სათავეში ამ ჟამად ბრიანი სდგას, ის ბრიანი, რომელიც ამ ორიოდე წლის წინად აითონ ფრანგულ ჟურნალ „Humanité"-ს თანამშრომელი იყო და იმის ფურცლებიდან საყოველთაო გაფიცვას იდეას ავრცელებდა. ბრიანი თუმცა შემდეგ დაშორდა გაერთიანებულ სოციალისტურ პარტიას, მაგრამ სოციალისტებთან მას კავშირი სიტყვიერად ჯერაც არ გაუწყვეტია, ყოფილი სოციალისტი და ეხლა მინისტრ-პრეზიდენტი გაფიცვის წინა დღით, ერთ-ერთ თავის სიტყვაში ხმა-მაღლა ამბობდა, საჭიროა ყოვლის უწინარეს გავატაროთ საარჩევნო რეფორმა და მივცეთ მუშათა სინდიკატებს იურიდიული პიროვნების უფლებაო; საჭიროა გზა მივცეთ მუშებს იმ სახიფათო და მოუსვენარ საგიტაციო მდგომარეობიდან გამოსასვლელად, რომელიც შიშის ზარსა სცემს ქვეყანას და აიძულებს მთავრობას არა სასურველ ზომებს მიჰმართოსო... ასე ტკბილად ლაპარაკობდა მინისტრ-პრეზიდენტი, ხოლო მეორე დღეს კი უსასტიკეს ზომების ძებნას შეუდგა მუშების ასალაგმავად და გაფიცვის ჩასაშლელად. მინისტრ-პრეზიდენტი პირდაპირის უკანონობის წინაშეც კი არ გაჩერდა და გამოაცხადა მობილიზაცია რკინის გზის მოსამსახურეებისა. რკინის გზის სათადარიგო მოსამსახურედ 30 ათასი კაცი ითვლება; კანონით ამ ხალხის მოწვევა სამსახურისთვის შეიძლება ისევე, როგორც ჯარის კაცებისა, როცა ... ხოვს. გაფიცვა საკმაო საბუთი არ არის მობილიზაციის გამოსაცხადებლად, მაგრამ ყოფილმა სოციალისტმა ბრიანმა თავისუფლად გადალახა კანონის დადგენილებანი მუშების დასამარცხებლად. სოციალისტური პრესსა და სოციალისტი დეპუტატები მოითხოვენ, დაუყოვნებლივ შეკრებილ იქმნას პარლამენტი, რათა პასუხი მოეთხოვოს მინისტრ-პრეზიდენტს უკანონო მოქმედებისთვის.

საინტერესოა, რომ ბრიანისთვის ეხლანდელი გაფიცვა მეტად საკვეთილდღეო საქმედ ჰხდება. ბრიანს აქამომდე სოციალისტებიც უგულოდ უცქეროდნენ, ლიბერალური ჯგუფებიც. სოციალისტები იმიტომ, რომ იგი იმათ თვალში მეტად მემარჯვენე იყო, ლიბერალები პირიქით, იმიტომ რომ იგი ძალიან გაიწევდა მარცხნივ. ამ ორმაგ უკმაყოფილებისა გამო მოსალოდნელი იყო ახლო მომავალში სამინისტროს კრიზისი. ეხლა გაფიცვის გამო, საქმეთა მდგომარეობა უეცრივ შეიცვალა. ბრიანმა დაამტკიცა, რომ იგი სიტყვით მუშათა თანამგრძნობი და მოსარჩლე იყო, საქმით კი ერთგული და შეუდრეკელი დამცველი ბურჟუაზიის ინტერესებისა. როგორც ყოველთვის ასეთ შემთხვევაში, ბრიანი ამბობს, ეს ეკონომიური გაფიცვა კი არა, სარევოლიუციო მოძრაობაა, რომელიც უნდა აუცილებლივ ძლეულ იქმნას, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ანარქია გამეფდებაო. ეს მოსაზრება სჭრის და ბრიანი პარიზის ბურჟუაზიის თანაგრძნობას იძენს. ამ თანაგრძნობის ზრდასთან ერთად იზრდება აგრეთვე სოციალისტურ ჯგუფების გულმოსულობა მის წინააღმდეგ. საფრანგეთში კაი ხანია შეეჩვივნენ ისეთ მთავრობას, რომელსაც ან სოციალისტური წარსული აქვს, ან ეხლა გადაჰკრავს სოციალისტური ელფერი; მაგრამ ისეთი ჯვარედიანი გზა, როგორც ეხლა, წინად არც ერთ ამ გვარ მთავრობას არ უვლიხავს. ეხლა ბრია-

ნის მოქმედებამ საქვეყნოდ დაამტკიცა, რომ კრიტიკულ მომენტში მთავრობა ბურჟუაზიულ სახელმწიფოში აუცილებლივ მუშათა მოძრაობის წინაალმდეგ წავა.

საფრანგეთის სოციალისტურ ელფერის მთავრობის მოქმედება მით უფრო საგულისხმოა, რომ გაფიცვა გამოიწვია მუშებისა და კაპიტალისტების უთანხმოებამ ხელფასის და სხვა სამუშაო პირობების შესახებ რკინის გზებზე. რკინის გზები საფრანგეთში კერძო პირებს ეკუთვნით. მუშებსა და რკინის გზის პატრონებს შუა განზრახული იყო მოლაპარაკება ბრიანის და მილიერანის თავმჯდომარეობით, მაგრამ რკინის გზის პატრონებმა ამ მოლაპარაკებაზე უარი განაცხადეს. ამ გვარად საფრანგეთის გაფიცვა გამოიწვიეს თვით რკინის გზის პატრონებმა. ამიტომ პარიზში თანაგრძნობა მუშებს უფრო უნდა ჰქონდეთ ამ საქმეში, ვიდრე რკინის გზის პატრონებს და მთავრობას. ამას მოითხოვს სამართლიანობა, მაგრამ ნამდვილად პარიზის ხალხი, როგორც გაზეთები იუწყებიან, გაფიცვის ბრალს მუშებსა სდებენ.

ეს კია, რომ მთავრობის რეპრესიებმა კარგი შთაბეჭდილება არ მოახდინეს ფართო წრეებზე, რომელთაც ეხლა ცოტა უკმაყოფილება დაეტყოთ. რაც უნდა იყოს, ეხლანდელი გაფიცვა მაინც დიდს გავლენას იქონიებს ერთს მხრივ მუშათა სოციალურ მოძრაობის განვითარებაზე, მეორეს მხრივ ბრიანის კაბინეთზე.

# მუშათა გაფიცვა საფრანგეთში

**პარიზი.** ლაურა ფირმინის მახლობლად რკინის გზის ხიდზე იპოვნეს ყუმბარა, რომლითაც თურმე ხიდის აფეთქება უნდოდათ. ამავე ადგილას დაწყვეტილია ტელეგრაფის მავთულები. მატარებელი უშველებელ ლოდს დაეჯახა. უბედურება არა მომხდარა-რა. რონიეს დეპარტამენტის ქალაქ მირამაში დინამიტის ორი პატრონა გასქდა, არავინ უმსხვერპლია. კიდევ ორი დინამიტის პატრონა აღმოაჩინეს. მანქანების გაფუჭებას და მოშლას განაგრძობენ. პროვინციებში რამდენიმე კაცი დაატუსაღეს, შრომის თავისუფლების დარღვევისათვის.

ვეზიეში 3000 გაფიცული შეეცადა, რომ სადგური ხელში ჩაეგდო, მაგრამ პოლიციამ ხალხი გაჰფანტა. ჩრდილოეთისა და დასავლეთის გზებზე ფოსტის გადაზიდვა დღეის საღამოდან უზრუნველ-ყოფილია.

**პარიზი.** საზოგადო სამუშაოთა მინისტრმა შუაღამისას განაცხადა, რომ რკინის გზის გაფიცვა დასრულდაო. ღამის 2 საათზე გაფიცვის კომიტეტმა გადასწყვიტა, რომ რკინის გზის ყველა ლიანდაგებზე დღეს მუშაობა განაახლონ.

**ლიონი.** სინდიკატთა კავშირის მდივანი, ანარქისტი შაბერი დაატუსაღეს.

**ვერსალი.** როდესაც მატარებელი ანგენის გვირაბს მიუახლოვდა, ყუმბარა ესროლეს, რომელიც გვირაბში არ გასქდა. ლიანდაგი გაფუჭებულია.

**ბრემენი.** ტრამვაის ვაგონს, რომელშიაც გაფიცულთა ნაცვლად მომუშავე 150 მუშა იჯდა ქვები დაუშინეს. ყველა მუშები ჩალეწეს, ბევრი დაშავდა. რამდენიმე კაცი დააპატიმრეს.

—

**მუშათა ორგანიზაციები საფრანგეთში.** საფრანგეთის მუშებს სამი დიდი ორგანიზაცია აქვთ.

1) ნაციონალური სინდიკატი რკინის გზის მოსამსახურეთა და მუშებისა. ეს ორგანიზაცია 300 ათას მუშათაგან აერთებს ასი ათას მუშას. 2) ნაციონალური ფედერაცია რკინის გზის მემანქანეთა და მათ თანაშემწეთა 25 ათასი კაციდან აერთებს 16 ათასს მუშას.

3) ადგილობრივ და დამატებითი ლიანდაგების მუშათა სინდიკატი.

გაფიცვის მომწყობ კომიტეტის დადგენილებანი გადასაცემად არც ფოსტას ანდეს და არც ტელეგრაფს. ამ დადგენილებათა ამხანაგებისადმი გადაცემა თავს იდვეს 50 მევველოსიპედემ და 30 მეავტომობილემ. [illegible] რკინის გზათა მუშებს ამცნეს კომიტეტის დადგენილებანი. მთავრობამ სასტიკი განკარგულება მოახდინა, რომ ჯარებს დაეჭირათ რკინის გზის უმთავრესი ლიანდაგები და ჩრდილოეთის რკინის გზის სადგური პარიზში. რაკი ჯარმა სადგური და ლიანდაგი, დაიჭირა მოსამსახურებს აღარ ატარებდნენ. მთელი გზა სამხედრო ბანაკსა ჰგვანდა.

10 ოქტომბერს რკინის გზის მუშათა ყველა ორგანიზაციებმა აფიშები გააკრეს, რომლითაც ამხანაგებს მიტინგზე იწვევდნენ გაფიცვის საქმეთა შესახებ მოსალაპარაკებლად.

ამ მიტინგზე შემდეგი რეზოლუცია გამოიტანეს:

კრება აღიარებს, რომ ყოველივე ცდა რკინის გზის მუშების მხრივ, ყოველივე მოლაპარაკება როგორც რკინის გზის სამმართველოს ცალკე უფროსებთან, ისე ჩრდილოეთის რკინის გზის სამმართველოსთან უნაყოფოდ დარჩა.

კრება აღიარებს აგრეთვე, რომ თვით მთავრობაც კი გულ-გრილად შეეგება რკინის გზის მუშათა შემდეგ მოთხოვნილებათ 1) სამუშაო ფასის საერთო მომატება ჩრდილოეთის რკინის გზაზე მომუშავე ყველა მუშებისათვის 2) კანონის აღდგენა მუშათა პენსიების შესახებ, 3) შრომის მოწესრიგება 4) აუცილებელი დასვენება კვირაში ერთ დღეს და 5) თვიურად გასწორება ჯამაგირებისა მინიმალურ სამუშაო ფასის მიხედვით.

რადგანაც ჩრდილოეთ რკინის გზის მუშებს მეტი მოთმენა აღარ შეუძლიანთ, კრებამ ერთხმად დაადგინა: დაიწყოს გაფიცვა და მხოლოდ მაშინ ახსნას ეს გაფიცვა, როდესაც დაკმაყოფილებულ იქმნება მუშათა მოთხოვნილება და მუშებს გაფიცულ დღეებში სამუშაო ფასი მიეცემათ. კრება სიტყვას იძლევა, რომ გაფიცვის დროს წესიერებას დაიცავს, მაგრამ წინდაწინვე აცხადებს, რომ არ დაემორჩილება მობილიზაციის შესახებ ბრძანებს, ვინაიდან ასეთ ბრძანებას უკანონოდა სთვლისო".

5 ოქტომბერს ბრიანმა განუცხადა მუშათა წარმომადგენლებს, რომ [illegible] მოძრაობის შეჩერების შესახებ საკითხის გარჩევას, ვინაიდან ეს საკითხი მთელი ქვეყნის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია და თუ მუშები გაიფიცნენ, მთავრობა არ დააყოვნებს და ყოველივე ღონეს იხმარებს თავისს მოვალეობის ასასრულებლადაო.

10 ოქტომბერს ჩრდილოეთის რკინის გზის მატარებლები მთელ დღეს წესიერად მიმოდიოდნენ და გაფიცულთა რიცხვი არც ისე ბევრი იყო. რადგანაც გაფიცვა ღამის 12 საათსა 40 წუთზე უნდა დაწყებულიყო, ღამის 12 საათზე სადგური და ლიანდაგი უკვე ჯარითა და პოლიციით გაივსო. ჩვეულებრივ მოძრაობის ნაცვლად სიჩუმე გამეფდა. უკანასკნელი მატარებელი ღამის 12 საათსა 45 წუთზე გაისტუმრეს და სადგურიც დაჰკეტეს.

გაფიცვის პირველ დღეს სრული წესიერება სუფევდა, მხოლოდ ტერნიეს მახლობლად ლიანდაგი გაფუჭებული აღმოჩნდა.

ორშაბათს, 11 ოქტომბერს ჩრდილოეთის გზაზე მოძრაობა სულ ერთიანად შესწყდა. პარიზში მხოლოდ სამი მატარებელი მოვიდა, პარიზიდან კი გაიგზავნა ერთი. რადგანაც ელექტრო-ტეხნიკები არა მუშაობდნენ, რკინის გზის დარბაზი წყვდიადით იყო მოცული.

არრასის მახლობლად გაფუჭებული იქმნა ტელეგრაფის მავთულები.

აღმოსავლეთის გზებზე ორშაბათ დილით მოძრაობა წესიერად მიმდინარეობდა. ნაშუადღევს, ჩრდილოეთის რკინის გზის გაფიცულმა მუშებმა კრეილეში მატარებელი შეაჩერეს. ამ მატარებელს ავადმყოფი ბავშვები მოჰყავდა. მემანქანემ გაფიცულებს ავადმყოფი ბავშვები შეაბრალა და სამი საათის გაჩერების შემდეგ, მატარებელს წასვლის ნება მისცეს.

რადგანაც ქალაქის მიდამოების რკინის გზებზე გაფიცვა იყო, ტრამვაის ვაგონები ხალხით იყო გაჭედილი, ხალხი ტრამვაის სახურავებზედაც კი ისხდა.

სენ - კონდენში გაფიცულებმა ორთქლმავალი ორთქლმავალს მიაგებეს. ორთქლმავალები დაიმსხვრა და გზა შეიკრა-

[illegible] აჰყარეს.

ზოგიერთ ადგილას წაახქციეს ტელეგრაფის ბოძები და ნიშნის მისაცემი მავთულები დასწყვიტეს.

პარიზსა და ვერსალის შორის ტელეგრაფი აღარ მუშაობდა.

ჩრდილოეთის რკინის გზის ლიანდაგსა და პარიზის სადგურს 1500 ჯარის კაცი იცავს.

პრეზიდენტი ფალიერი პარიზში წავიდა, რათა გაფიცულები და რკინის გზათა საზოგადოებანი მოარიგოს.

# დეპეშები

პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან

6 ოქტომბერი.

**საზღვარ-გარედ**

**სტამბოლი.** ვეზირისა და ფინანსთა მინისტრს შორის ჩამოვარდნილი უთანხმოება თან-და-თან მწვავდება. ამავე დროს დიდი უთანხმოება მოუვიდათ სამხედრო და ფინანსთა მინისტრებს. ეს უთანხმოება გამოიწვია იმან, რომ სამხედრო მინისტრს არა სურს დაემორჩილოს საკონტროლო პალატის კონტროლს. დანარჩენი მინისტრები სცდილობენ მათ მორიგებას, მაგრამ ჯერ ვერაფერი გაუწყვიათ. თუ ხვალაც ვერ შეარიგეს, კაბინეტი სამსახურიდან გადადგება. ხაკი ფაშამ უკვე შეიტანა ქაღალდი სამსახურიდან გადადგომისა, მაგრამ სულთანის რჩევის შემდეგ, ქაღალდი უკანვე გამოიტანა.

**ისპაჰანი.** გუბერნატორის მიერ ახალი პოლიცმეისტერის დანიშვნის შემდეგ იეზდში მშვიდობიანობა ჩამოვარდა. ძველი პოლიცმეისტერი ინგლისის ტელეგრაფის დირექტორის სახლში დაიმალა. კიშანში (?) კვლავ სროლაა. ბახტიართა შორის დაჭრილი და მოკლული ბევრია. შიშობენ, რომ ქალაქს ბახტიარები იერიშით აიღებენო.

**ათინა.** მეფემ ნება მისცა ვენიზელოსს, თუ საჭირო იქმნება, პალატა დაითხოვოს.

**ვენა.** ავსტრიის დელეგაციაში სამხედრო მინისტრმა განაცხადა: არსებულ კავშირთა მიუხედავად, ანექსიის კრიზისმა დაარწმუნა მთავრობა, რომ გეოგრაფიულ მდებარეობის გამო, მაინც შესაძლოა ომიანობა მოხდეს რამდენიმე ფრონტზე. თანამედროვე პირობებისა გამო სამხედრო ძალების გაუძლიერებლობის დაგვიანება შეუძლებელია, თუ გვინდა, რომ ჯარი დღევანდელ ომიანობის შესაფერად გვყავდეს მუდამ გამზადებულიო.

**ქაირი.** ჩრდილო ეგვიპტის რკინის გზებზე მოსამსახურეთა უმრავლესობა გაიფიცა. გაფიცვა მოედო ბულაყის სახელოსნოებს [illegible], რომელსაც ეგვიპტელი ჯარები იცავენ. გაფიცულები თამამად და კადნიერად იქცევიან, მატარებლებს აჩერებენ, პოლიციელებს ქვებს უშენენ. რამდენიმე კაცი დაატუსაღეს.

**ათინა.** ვენიზელოსმა მოახსენა მეფეს, რომ კაბინეტს შეადგენს.

**პუენტაპიტრი.** პეტიბურგში მომხდარ არჩევნების გამო დიდი მანიფესტაციები მოხდა. ქალაქის სახლზე იერიში მიიტანეს. ჟანდარმებმა სროლა ასტეხეს. 6 კაცი მოჰკლეს, დაჭრილიც ბევრია.

**ათინა.** „ლოკალ-ანცეიგერ"-ს ათინიდან აუწყებენ, რომ სტუდენტთა არეულობისა გამო, რექტორმა უნივერსიტეტი დახურა. ვოლფი იუწყება, რომ, როდესაც ვერდენის სიმაგრეს გერმანიის ჰაეროსტატი დაუპირდაპირდა, ფრანგმა დარაჯებმა სროლა დაუწყეს. მფრინავმა ზევით აიწია და საფრანგეთის მიდამოებს გასცილდა.

**ურმია.** ოსმალებმა მაზანში სამოქალაქო გამგეობა შემოიღეს. ასეთი გამგეობა არსებობს უშნუში და ნაგადეგში.

**გერნე** (ვესტფალია). შემროკის მაღაროებში ტვირთმზიდველების დასაგორებლად გაბმული მავთულის თოკი გასწყდა. სამი კაცი მოკვდა, 9 მძიმედ დაიჭრა, 44—მსუბუქად.

**პარიზი.** ჰავასის სააგენტო ცნობას იძლევა ათინის ახალ კაბინეტის მოსალოდნელ შემადგენლობაზე: პრემიერ მინისტრად, სამხედრო და დროებით საზღვაო მინისტრად მოსალოდნელია დაინიშნოს ვენიზელოსი, შინაგან საქმეთა მინისტრად —რეპულოსი, იუსტიციის მინისტრად—დიმიტრაკოპულოსი, ფინანსთა მინისტრად—კორომილოსი, განათლების მინისტრად—ალექსანდრი, გარეშე საქმეთა მინისტრად —კარელგისი.

**სტამბოლი.** მინისტრთა საბჭომ გადასწყვიტა, რომ კანტროლთა პალატია კანტროლისაგან გაათავისუფლოს სამხედრო და საზღვაო სამინისტროები.

პორტამ შეიწყნარა ინგლისელ ამხანაგობის განზრახვა, რომ 1913 წელს სტამბოლში მსოფლიო გამოფენა მოეწყოს. სამხედრო მინისტრი თანამდებობიდან გადადგა.

# უკულმართობა

(მ ო თ ხ რ ო ბ ა)

IX*)

დათიკოს დაგვიანებაზე ქეთევანს ფაციფაცით შეუდგა შინა. თავს უღონოდ ხან აქეთ აწყვეტდა და ხან იქით.

— რა ვქნა,—ფიქრობდა:—პეტრე რომ მოვიდეს და შინ არ დაუხვდეს, ხომ ერთი ალიაქოთი ასტეხა! არ იცის ხოლმე დაგვიანება და ეხლა რა მოუვიდა ი ბიჭსა?!.

ქეთევანი რომ ამ დარდში იყო, ელისაბედს გამოეგზავნა თავისი შვილისშვილი პატარა გოგო—მაგდანა:

— დიდედამა, ხომ არაფერი გინდოა?!.

ქეთევანს გაეხარდა.

— აგრემც დედას გაეზრდები,— შეეხვეწა:—გაიქეცი და დათიკო მონახე სადმე. ჩქარა მოდით მამამ არ მოუსწროს.

კარგა ხანი დაიგვიანა მაგდანამაც, მაგრამ ბოლოს დაბრუნდა: „ვერ ვიპოვნეო".

ამ დროს გამოჩნდა პეტრე. ამრეზილი შემოვიდა სახლში, მივიდა, კიდობანს სახურავი ახადა, შიგ რაღაც ჩადო, ისევ დახურა და დათიკო იკითხა:

— სად არის ი ბიჭი?!.

— ეს არის ეხლა გავგზავნე, მალე მოვა. მეცოდება რომ ბავშვი ერთთავად შინ დამწყვდეული...— მოწიწებით უთხრა ქეთევანმა.

— გიცნობ, რა ეშმაკის გვერდიცა ხარ!.. იმოდენა შვილობა სულ ეგრე განებივრებით შენ ამოიჭამე!..

პეტრემ კიდევ კარგა ხანი იჩხუბა და ბოლოს წავიდა დათიკოს მოსანახად. მაგდანამაც თავს უშველა.

დათიკო ის იყო, აპირობდა სახლში წამოსვლას, რომ მამამ ყურში წაავლო ხელი:

— აქ წამოეთრიე!—შეუტია მკაცრად.—მე შენ გასწავლი სახლის თავის განებება როგორც უნდა!..

დათიკო ხმა ამოუღებლივ საღმრთო ცხვარივით გამოჰყვა შინ.

X.

მეორე დილას ნაცემ დათიკოს გვიან გამოეღვიძა. ლოგინიდგან გადიხედა და ნახა: მამა წასულიყო, დედასაც მაგრა მისძინებოდა. ჩვეულებისამებრ ადგა, ჯერ პირი დაიბანა, მერმე კიდობანთან ჩუმად მიიპარა, სახურავი ფთხილად ახადა, ჩახედა და გაკვირვებული გაჩერდა. თვალს არ უჯერებდა, რასაც უყურებდა. კიდობანში აქამდის ხშირად მჭადიც არა ხვდებოდა და ახლა? ჯვრითა და შაქრის ყვავილებით მორთული პასკა იდო.

უფრო თავმოყვარეობის გასაზვიადებლად, ვიდრე ნაყმევების გულის მოსაგებად ბატონს ბაზარში ეყიდნა პასკა და პეტრესთვის სახალხოდ გაეტანებინა სახლში, სააღდგომოდ.

დათიკომ ჯერ არ იცოდა, პასკა რა იყო, არც სახელი გაეგონა, მაგრამ მიხვდა კი რომ რაღაც კარგი საჭმელი უნდა ყოფილიყო. დედისაკენ მიიხედა, რაკი დარწმუნდა, რომ ისევ მაგრა ეძინა, ოდნავ წაატანა ხელი პასკის თავზედ თხლად გადაკრულ თეთრ შაქარს მოაცქნა და როგორც უნდა პირში ჩაედო, უცებ ჭერში აიხედა.

ბობოლას ერთი, მხოლოდ ერთი ბუმბული-ღა გამოეშვირა ნისკარტივით და თითქო რაღაც ჩუმის ბღვერით იყურებოდა დათიკოსკენ. ბობოლა დათიკოს ასე საშიშრად ჯერ არა სჩვენებია. თითქო თვალებიც დაუნახა, პირიც, სახეც. მაშინვე კიდობანს თავი გაანება და მოშორდა. მაგრამ გული არ უსვენებდა. უნდოდა, გემოო მაინც გაეშინჯა. ბობოლას რისხვას თვალები თანდათან შეაჩვია. კარგა ხანი უყურა. ბოლოს პატარა წკეპლა შემოიტანა და, ვითომ უცაბედად, ფთაში ოდნავ მოახვედრა. ბობოლა დაბრაწიალდა, ხახვის თავი მომპალიყო, ჩხირი, რომელზედაც ძაფი ჰქონდა გაბმული, გამოსძვრა და ძირს ჩამოვარდა. დათიკო გულგახეთქილი კარში გავარდა. ხმაურობაზე ქეთევანს გამოეღვიძა.

— რა იყო, შვილო, დათიკო!— გასძახა გარედ.

დათიკო ტირილით შემოვიდა და ბობოლაზე იცრუა:

— მე არა, ღმერთმანი, თითონ ჩამოვარდა!..

ქეთევანს გული გაუსკდა. იფიქრა: „უთუოდ კიდევ რამე უბედურება დაგვატყდებაო". დათიკოს კი ანუგეშებდა:

— არა უშავს-რა, შვილო, ნუ ცეშინიან, იმიტომ ჩამოვარდა რომ აღდგომამდინ ცოტა დროღა დარჩა.

ბობოლა აიღებინა და ბუხრის რაფაზე დაადებინა: „მერმე თითონ გაფრინდებაო".

დათიკო მოკატუნებული მივიდა და ლოგინზე დედას მუხლებთან წაუგორდა.

— დედაა?

— რა გინდა, გენაცვალოს დედა!

— კიდობანში რა არის?

— პასკაა, შვილო, არა სჭამო, ჯერ კიდევ მარხვა არის, ცოდოა,

— ჯერ არ იჭმევა?!. მარხვა არის, ცოდოა, როცა ფუფალა ადგება და გახსნილდება, შენც გაჭმევთ.—უთხრა დათიკომ და კიდობანს თავი მძიმედ დახურა.

დათიკოს გული სიმდიდრის სიამაყით გაივსო. კიდობანში პასკა ჰქონდათ. წითელი კვერცხები მაგდანამ მოიტანა, თითონაც ამათსა უნდა დაეძინა. რაღა აკლდა? თოფი! ნიკალაანთ კოლას რომ თოფი აქვს, იმისთანა თოფი! „პასკა კარგია, მაგრამ თოფთან პასკა რა არის! თოფი სჯობიან.,. იქნება მამამ ქალაქიდგან მიმიტანოს?!.—იფიქრა დათიკომ.

XII

ბნელი ღამე დადგა. ნიავი არ იძვროდა. ვენახებში საშინელი მყუდროება გამეფდა. ქეთევანი კარგა ხანია, შეეჩვია მარტოობას, სოფლის მოშორებით უმეზობლოდ ყოფნას. ბავშვებს კარები მაგრად ჩააკეტვინა, თითონ ფიქრებს მიეცა.

დათიკო და მაგდანა ისე გაერთვნენ თამაშობითა, რომ აღარც კი მოჰგონებიათ.

— დაიძინეთ, გენაცვათ, თავები არ აგტკივდეთ, გეყოფათ თამაშობა!—ეუბნებოდა მალ-მალე ქეთევანი

ბავშვები კიდევ თამაშობდნენ.

შუაღამე მოტანებული იქნებოდა, რომ კარები თითქო ვიღამაც დააკაკუნა.

სამივენი შეკრთნენ და სმენად გადიქცნენ.

პეტრე დღეს წავიდა ქალაქში. არ დაბრუნდებოდა. მაშ ვინ არის ამ შუაღამისას? ხმის ამოღებას ვერც ერთი ვერა ბედავდა.

კაკუნი კიდევ განმეორდა.

მარანი მოკვდა. სამარედ იქცა. საწნახლის მხრიდან სიბნელეში ბავშვებს ათასი რამე ეჩვენებოდათ. კარში კი კარებთან, ვინ იცის, რა იდგა ატუზული? თითონ ქეთევანს ზაფრანის ფერი დაადგა. ბოლოს გული გაიმაგრა და გასძახა:

— ვინა ხარ?!

პასუხად ისევ კაკუნი მოისმა.

— კატა თუა?—იკითხა ქეთევანმა და თვალები მიავლ-მოავლო.

კატა იქვე საწნახლის პირზე, მაღლა კუთხეში, მიცუცქულიყო და თავისთვის თავგსა ჰყარაულობდა. იმათ შიშში მონაწილეობას არ იღებდა.

კაკუნმა თანდა თან მოუხშირა.

ყარაულად მოსული მაგდანა გაშრა, მუხლების ქვეშ უძვრებოდა დახუთულ ქეთევანს. დათიკოც დედას ზურგის უკან ეყუჟებოდა.

სწორედ ის ხანები იყო, როცა იმათ სოფლის ბოლოს მცხოვრებნი დანდურიანი დედა-ბუდიანად ამოსწყვიტეს ვიღაც ავაზაკებმა და საკვირველი არ იყო, რომ ასე შეეშინდათ.

— ვინა ხარ?—გასძახა ქეთევანმა.

კაკუნი არა სწყდებოდა. სანათი თანდათან ქრევით-ქრევით იწევდა, რადგანაც ნავთი გამოლეულიყო. მალე ჯოჯოხეთურ სიბნელეში უნდა ჩანთქმულიყვნენ.

— ქრება, დედი! „კრუჩკა" ქრება! ვაიმე! ბნელაში დავრჩებით!..— ძლივს ამოიღეს ბავშვებმა ხმა.

ქეთევანი გულს უმაგრებდა:

— ნუ გეშინიანთ, შვილებო, ეხლა სადაა გათენდება. ჩვენთან მტერს რა უნდა, ძაღლი იქნება ვისმე. ალბად სიცივე აწუხებს და შემოსვლასა გვთხოვს, ან ეშინება.

ძლივს მოისმა შორს, სოფლიდან მამლების ყივილი. ბავშვებიც შიშს თითქო შეეჩვივნენ.

*) იხ. „სახალხო გაზ." N 124.

**პარიზი.** გვადელუპას შტატში, ისაკის ტაძრს გარშემოვლარა და ქალაქ პუატიერის არჩევნების დროს [illegible] არეულობა მოხდა. მოკლულია 4 მამაკაცი და 3 დედაკაცი; დაიჭრა 10 კაცი.

**ბერლინი.** ბოსფორიდან, მარმარილოს ზღვიდან, ოტომან ახალი შენებიდან [illegible] მოსულ გემებს ექიმები სინჯავენ და ამოწმებენ.

[illegible]

**პეტერბურგი.** ფარმანის საერონეთო [illegible] აეროდრომიდან [illegible]. 25 წუთის განმავლობაში, 300 ადლის სიმაღლეზე) იფრინა პეტერბურგის ზევით, [illegible].

**რ უ ს ე თ ი**

**ლოძი.** ვიდზევის სადგურზე ორი შეიარაღებული მძარცველი [illegible] წაართვეს 10,741 მანეთი და მიიმალნენ.

**ხ ო ლ ე რ ა**

**პეტერბურგი.** ერთი კვირის განმავლობაში ხოლერით ავად გახდა [illegible]—2, მის გუბერნიაში—81, [illegible] 13. ამერიკ [illegible] ნიჟეგოროდში სულ ხოლერით ავად გახდა 40, გარდაიცვალა—24. ნიკოლაევში ერთი კვირის განმავლობაში ავად გახდა 3.

„სახალხო გაზეთის“ კანტორა [illegible] გაზეთის გზავნის [illegible] 8 მან. 50 კაპ. [illegible]

**მოვაგონებთ** წლიურ ხელის მომწერთ, რომ პირობით პირველ ივნისისთვის უნდა გადაიხადონ წლიური ხელის მოწერის ფასი. [illegible]

[illegible] Тифлисъ, Большая Ванкская № 12, Семену Пашалишвили.

კანტორა პასუხის-მგებელი არაა, [illegible] „სახალხო გაზეთის“ კანტორა.

# რევოლუცია პორტუგალიაში

**ინგლისელთა აზრი პორტუგალიის რევოლუციაზე.**

ლისაბონში მყოფი ინგლისურ გაზეთ „ტაიმს“-ის თანამშრომელი სწერს: „ახალ წეს-წყობილების დამყარებას გარეგნულად ადასტურებს ყველგან აფრიალებული წითელი ბაირაღები და ის გარემოება, რომ მეფის სურათი არსად არ არის გამოფენილი. ვინც კი ლისაბონში ყოფილა, ეცოდინება, რომ წინად ყველა ფანჯრებში გადმოდგმული იყო ხოლმე მეფის სურათი... ახლა მის ადგილას დაინახავთ ახალ მთავრობის წევრთა სურათებს.

ყველა გაზეთები აღნიშნავენ, რომ რევოლუცია ზღაპრულის სისწრაფით მოხდა. განსაცვიფრებელია რესპუბლიკელთა პარტიის სამაგალითო ერთსულოვნება და მომზადება. ელვის სისწრაფით მოწეს-რიგდა ახალი მართვა-გამგეობა, თითქოს დიდ ხნის დამყარებული წეს-წყობილება ყოფილიყოს.

რვა საუკუნის განმავლობაში განმტკიცებულ სამეფო ტახტის დამხობას, მთელი ერი ჩვეულებრივ ამბავივით შეეგება. ძალა-უნებურად გებადებათ საკითხი: სადღაა ის მონარქიული ორგანიზაციები, რომელზედაც ამდენს ფულსა ფლანგავდა მთავრობა?.. სად გაჰქრნენ ის მეფის მყვირალა მომხრენი, რომელნიც ასე დაუნდობლად სდევნიდნენ თითოოროლა რესპუბლიკანელს? სადღაა ის პატრიოტული კავშირები, რომელნიც ამ ექვსი დღის წინად დიდის ზეიმითა და ზავთით შეჰხვდნენ მეფის დღესასწაულს?

მეფემ გაქცევის დროს ვერ მოასწრო ვერც ძვირფას ნივთებისა და ვერც ფულის წაღება, იგი განცვიფრებული იყო „თავისის“ ხალხის ასეთის გულგრილობით.

აშკარაა, რომ დამხობილ ტახტს, ხალხის გულში მომხრე არავინ ჰყოლია.

რევოლუციის გამარჯვება უზრუნველ ყოფილია. დროებითმა მთავრობამ მჭიდროდ მოიკიდა ფეხი. ახალს წყობილებას თანაგრძნობითა და თანხმობით მიეგებნენ, როგორც პორტუგალიის მკვიდრნი, ისე მისი ახალშენები.

თუნდაც ჩვენ დიდათ თანავუგრძნობდეთ მეფე ემანუილის მწარე ბედს, მაინც იძულებული ვართ ვაღიაროთ, რომ, თუ სადმე სამართლიანი რევოლუციის მოხდენა, იმაზე სამართლიანი და საბუთიანი არსად მოხდება, როგორიც პორტუგალიაში მოხდა.

პორტუგალიაში მხოლოდ „სკუფიები“ და „კუნკულები“ შეხვდნენ მტრულად ამ რევოლუციას, მაგრამ იმათი ალაგვმა სულ ადვილია.

ძნელად წარმოიდგენს ადამიანი იმაზე უალრეს დრამას, რაც მეფის სახელობამ განიცადა გაქცევის დროს.

სუფრაზე მჯდომარე მეფეს მოახსენეს, რომ რევოლუციამ იფეთქა და სამხედრო გემებმა სასახლეს ზარბაზნები დაუშინესო. მეფე, მისი დედა და დიდედა, მარია-პია, გარბიან მეორე სასახლეში, 25 ვერსის მანძილზე. აქ მოელიან ამბის გაგებას ჯერ თითქოს. სანუგეშო ამბები მოაქვთ. ამითი გამხნევებული დედოფალი ამალია იმუქრება: ისეთ დღეს დავაყენებ რესპუბლიკელებს, რომ დიდ ხანს ახსოვდეთო“.

ერთბაშად ლისაბონიდან ავტომობილით მოიჭრა აფიცერი და შეატყობინა: „ყველაფერი დაიღუპა. რევოლუციონერებმა გაიმარჯვეს. ჯარი გამარჯვებულებს მიემხრო. ლისაბონში რესპუბლიკის ბაირაღები ფრიალებს“.

მეფე, დედოფალი და მეფის დიდედა, კვლავ გარბიან და, 20 ვერსის იქით, ერისეირში ეძებენ თავშესაფარს. აქ მათ მეფის გემი ელის. ზღვაზე ფრთონვაა. გემამდე მებადურთა ნავით უნდა გასცურონ. მეფეს მხოლოდ მუნდირი აცვია. ერთმა მებადურმა თავისი მაზარა მოახურა. მეფე დაბნეულია და მალ-მალ იმეორებს „მშვიდობით სამუდამოდ“ დედოფალი ამალია განრისხებულია და მუქარას უთვლის რესპუბლიკელებს; იმედი აქვს სამეფოს აღდგენისა. მეფის მოხუცი დიდედა მარია-პია ისეა გაოგნებული, რომ ველარავისა სცნობს. მებადურთა ქოხში მოელიან ნავის მოსვლას. მოხუცმა მარია-პიამ ხელი სტაცა გლეხურ გრძელ შოთის პურს და უაზრიათ იღლიის ქვეშ იხუტებს.

მეფის ოჯახობას რამდენიმე ჯარის-კაცი იცავს; ისინი ახლოს არ უშვებენ ცნობის მოყვარეთ, რომელნიც არხეინად უცქერიან ამ სეირს. ნუ თუ ეს ერისეირის მკვიდრნი არიან, რომელნიც მეფის უერთგულეს მომხრეებად იყვნენ ცნობილნი?

ნავი ნაპირს მოადგა. მეფის ბარგი ჩააწყეს. სულ ორი ჩემოდანი და ერთი სკივრი—დედოფალ ამალიასი.

ასე უკისტუმრა პორტუგალიამ თავისი მეფე.

მეფემ მხოლოდ გიბრალტარში მოსვლის მერე მიიღო ლონდონის ბანკში „შავი დღისათვის“ შენახული ფული. აქ იყიდეს საცვლები და სხვა საჭირო ნივთები.

ლისაბონიდან გაქცევის დროს, მეფემ ჯიბეში მხოლოდ სათუთუნის ჩადება მოასწრო.

პორტუგალიის ახალი მთავრობა დიდს დიდსულოვნებას იჩენს. ჯერ არავითარ რეპრესიებისათვის არ მიუმართავს, თუმცა „სკუფიასა“ და კუნკულის“ მატარებელთ ღირსეულად დაიმსახურეს იგი.

დროებითი მთავრობა პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთ არა სდევნის.

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

ყველასათვის ცხადია, რომ საერთო საიმპერიო კანონმდებლობა კავკასიაზე უმეტეს შემთხვევაში მხოლოდ მაშინ გავრცელდება ხოლმე, როდესაც ამას საერთო საიმპერიო ინტერესები მოითხოვს. სასიკეთო რამ თუ განხორციელდა რუსეთში, კავკასია აუცილებლად გამოკლებული და გარიყული რჩება, თითქოს კავკასია ისეთი ნაწილი იყოს იმპერიისა, რომელიც მხოლოდ ექსპლოატაციისათვისაა გაჩენილი. მოკლებულნი ვართ ერობას, მოკლებულნი ვართ ნაფიც-მსაჯულთა ინსტიტუტს. არსებობს კიდევ მრავლი წვრილმანი კანონები და განკარგულებები, რომელნიც [illegible]

[illegible]

პროექტის თანახმად, სახელმწიფო მთელი თავისი დიდი ხაზინანსი თანხით ხუსტს ელემენტს ეხმარება, ისეთს პირობებში აყენებს, რომ არსებობისათვის ბრძოლა გაუადვილოს, და ამით ხელს უწყობს როგორც სახელმწიფოებრივ ორგანიზმის განკურნებას, ისე ხალხის პოლიტიკურად გაძლიერებას. ხელმძღვანელი რუსეთის მართვა-გამგეობისა, სტოლიპინი სისტემატიურად ანვითარებს თავის გეგმას, რომელიც 1907 წლის 10 მაისის დეკლარაციაში გამოსთქვა. გლეხთა მოწყობაში მთელი სახელმწიფოა დაინტერესებული და ამიტომ სახელმწიფომ უნდა იკისროს ეს საქმე, ასეთია აზრი სტოლიპინისა.

ბ-ნი ან—ფარი სიამოვნებით ეგებება ამ პროექტს, მაგრამ ერთი კი ვერ გაუგია: როგორ მოხდა, რომ ის, რაც სასარგებლოდ მიაჩნიათ ურალისთვის, მავნებლად აღიარეს კავკასიისთვის. საქმე იმაშია, რომ წინადადება ქართველ თავად-აზნაურობისა დროებითი ვალდებულთა საქმის ლიკვიდაცია სახელმწიფო ხარჯით უარყოფილ იქმნა.

თავად-აზნაურთა დასაბუთებულ აზრს ნამესტნიკის საბჭო არ დაეთანხმა,—სწერს ბ-ნი ან—ფარი.—საბჭომ არ გადაუხვია 1861 წლის 19 თებერვლის მანიფესტით ნაჩვენებ გზას, რომელიც დაგმობილია როგორც დროთა ბრუნვის მიერ, ისე ცენტრალურ მთავრობის დღევანდელ პოლიტიკით. როდესაც 1861 წლის დამველებულ დებულებებზე გვთითითებდნენ, ამიტომ პეტერბურგიდან დირექტივები მოგვივიდა სახელმწიფო ხარჯით გამოსყიდვის პროექტს ნუ შეიმუშავებთო.

ეს გარემოება დიდს საფიქრებელში აგდებს ბ-ნ ან-ფარს და ვერ გაუგია, საიდან წარმოსდგება ასეთი ულოღიკობა უმაღლეს მთავრობის მოქმედებაში. ჩვენ კი ეს ულოღიკობა არ გვაკვირვებს. მთელი მათი მოქმედება ამნაირს ულოღიკობისაგან შესდგება და ეს ასეც უნდა იყოს იმ ქვეყანაში, სადაც მრავალ წვრილ ერთა ინტერესებს ერთს გაბატონებულ ერის ინტერესებსა სწირავენ მსხვერპლად.

## ახალი ამბები

**ტფილისი**

➜ **ქართული თეატრი.** დღეს ქართულ თეატრში წარმოდგენილი იქნება [illegible] „სატანა“. [illegible]

[illegible] ვლ. ალ.-მესხიშვილი ორიგინალურად სდგავს. მთავარ როლებს შეასრულებენ: სატანას—ვ. გუნია, ჰერშელს—ვლ. ალექსი მესხიშვილი, ლეიზერს—ვ. შალიკაშვილი, ფრეიდენიუს—ნ. დავითაშვილი, ცეპენიუს—ლეჟავა, პესენიუს—ნ. ჯავახიშვილი, მოიშეს—ზარდალიშვილი. ამ პიესის მომზადება დიდიხანია დაიწყეს და, როგორც გადმოგვცეს, საუცხოვოდ არის მომზადებული.

➜ **ქუთაისის არჩევნების დამტკიცება.** ქუთ. გუბერნიის საქალაქო საქმეთა საკრებულომ დაამტკიცა ქალაქის საბჭოს ხმოსანთა არჩევნები. არ დაამტკიცეს მხოლოდ ორი კაცი, ა. დ. შარაშიძე და კონ. გაბუნია, რომელნიც მხოლოდ თითო ხმის უმეტესობით იყვნენ არჩეულნი. ამ დაუმტკიცებლობის მიზეზი ის იყო, რომ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ოსმალოს ერთს ქვეშევრდომმა, რომელსაც ამის უფლება არ ჰქონდა, და მისი ხმა გაუქმებულ იქმნა. ამგვარად ახალი ქალაქის საბჭო 43 კაცისაგან შესდგება (წინად 60 კაცი იყო), რომელთაგან უმაღლესი სწავლა აქვს მიღებული 26 კაცსა, ვაჭარი კი მხოლოდ ექვსია.

➜ **ჯარიმები.** ტფილისის გუბერნატორმა დააჯარიმა: 1) ბალდასარ ბალდასარიანცი 50 მ. ხორცის ძვირად გაყიდვისათვის. თუ ჯარიმას არ გადაიხდის ერთის თვით დააპატიმრებენ, 2) თომა ბესტავაშვილი 2 მანეთით ტრამვაის გაქანებულ ვაგონიდან გადმოხტომისათვის და

---

დმითიკომ წალდულას ხელი წამოავლო და გასძახა:

— აი, რა გალესილი პირი აქვს, ისე დაგარტყამ როო!..

მაგდანამაც შამფური აილო: „მეც ამას ვატაკებო“.

ბოლოს გარედ მყოფს თითქო მობეზრდა დგომა და უნებურად ხვეღება აუვარდა.

ქეთევანი ახლა კი მიხვდა გარედ ვინც უნდა ყოფილიყო. ხველაზე იცნო თავისი მაზლი ოსეფა.

ოსეფა მშური კაცი იყო და ცდილობდა ბატონისეულ ვენახის ხელში ჩაგდებას. რაკი პეტრე ქალაქში გაეგულა, ეფიქრა: „ცოლშვილს რომ დავუფრთხობ, მერმე უფრო გაადვილდება ჩემი ამ მარანში გადმოსახლებაო“.

ქეთევანმა გასძახა:

— შე, ურჯულოვ, რაზედ მიწიოკებ პატარა ბავშვებსა, ღმერთი არა გაქვს? ჰაა?!.

ოსეფას ხმა არ ამოუღია და კაკუნიც შესწყდა.

XIII

დიდ შაბათის დილა გათენდა. სოფელში მდიდრებიც, ღარიბებიც თავ-თავიანთ შეძლებისამებრ, ფუსფუსში იყვნენ. ყველანი ემზადებოდნენ წესების შესრულებას, ლიტანიაზედ წასვლას, აღდგომის მიგებებას.

დათიკო თავის მამას დღეს მოელოდა ქალაქიდან. დიდი იმედი არა ჰქონდა საჩუქრისა, მაგრამ თოფი მაინც არ ავიწყდებოდა: „იქნება მომიტანოსო“.

თუმცა წინა ღამის უძილოები იყვნენ დათიკო და მაგდანა, მაგრამ, მაინც მთელი დღე თამაშობაში და მოლოდინში გაატარეს.

დაღამდა.

პეტრე არსადა სჩანდა.

ქეთევანი ათასმა ფიქრებმა შეიპყრო:

— რა მოუვიდა ი კაცსა?!.. ვაი, თუ ბატონის ფულები სულ შემოეხარჯა?!.. მემრე, მთვრალი მოვა და ჩხუბს ჩვენ გაგვიმართავს!..—წუწუნებდა შიშისაგან.

მარტის მთვარის გადაბრუნება აპრილის პირველ რიცხვებში საშინელ ჭექა-ქუხილს უპირებდა ქვეყანას. საღამოთვე ამოვარდა მძვინვარე ქარიშხალი და იქაურობას გლეჯდა. ქარს მოჰყვა ჯერ ხორხოშელა, მერე გადიქცა ქათქმის კვერცხის სიმსხო სეტყვად. ვენახებში ისმოდა ხეხილების მტვრევა ჭახა-ჭუხი. რეგვდა ვაზებს, ანადგურებდა ყველაფერს, მარნის გარღვეულ კედლებიდან ცივი გნიასი გუგუნით შემოდიოდა. ქარს შხაპუნით წვიმა მოჰქონდა. ერთს წამს მთელი არე-მარე განათდებოდა და უცებ კუპრივით ჩამობნელდებოდა ხოლმე.

მიყრუებულ სადგომში შეშინებული დათიკო და მაგდანა, სიცივით მობუზულნი, ეყუჟებოდნენ ქეთევანის დაკრუნჩხულ მუხლებს.

ცოტა ხანს უკან სეტყვამ გადაიღო, მაგრამ ახლა კოკისპირული წვიმა წამოვიდა.

წალმით დახურულ მხარეს საწნახელი წყლით გაივსო.

ელვამ გაჰკრა, საზარლად დაიჭექა, დედამიწამ დაიზანზარა და რაღაც საშინელი გრიალი მოისმა. სადღაც, ახლო-მახლო, მეხი ჩამოვარდა. მარნის უკანა კედლის გარეთა პირი გადაინგრა. ჭერიდან ჩამოვიდა დამბალი ბელტები და თან თქრიალით წვიმა ჩამოჰყვა.

— ვაიმე. დედავ!.. სახლი ინგრევა!..—ასტეხეს ღრიალი ბავშვებმა.

ქეთევანს შველის სახსარი არა ჰქონდა. უნდოდა, ეთქვა: „გადით, თქვენ მაინც გადარჩითო“, მაგრამ, იფიქრა: „ამითი უფრო შევაშინებო“ და არც შეიძლებოდა კარში გასვლა, რადგანაც ორღობეში მოვარდნილ ნიაღვარს თან არე-მარე მოჰქონდა. ნიაღვრის ერთმა ტოტმა მარნის კარებში გაიკეთა გზა და წყალი თავისუფლად შემოდიოდა. ქეთევანს თავში ჯოჯოხეთი უტრიალებდა. რაკ შეეძლო, გულს იმაგრებდა და ბავშვებს ანუგეშებდა:

— ნუ გეშინიანთ, გენაცვალეთ, არა უშავს-რა, ეხლავე გადაიღებს, წყალს ქვემოდან გზა ვაკე აქვს, ტახტამდინ ვერ ამოგვწვდება!..

გარედან შემოვარდნილმა ნიაღვარმა და ზოგიც ჭერიდან ჩამოსულმა წვიმამ მარანი თითქმის მოალივლივა.

ქარი ჩადგა, წვიმამაც გადიღო. ყველაფერი დაყურსდა.

მარანში მყოფი სამი სუსტი არსება თავთავის ფიქრებმა შთანთქა. ტახტზე ერთმანეთს მიყუდროებულნი, ნაღვლიანად გადმოჰყურებდნენ ძირს დამდგარ ტბორსეს. წყალი თანდათან იწურებოდა და დახურულ, მიწა-წაყრილ ქვევრებში წკანწკარით ჩადიოდა. მეოთხე სულდგმული—კატა—ამათ ფიქრებში მონაწილეობას არც ეხლა იღებდა და წუხანდელ ადგილას, საწნახლის თავზე, ისევ თავის სოროს მისჩერებოდა.

— იჰ, ვინ იცის, რა მოუვიდა ი კაცსა, ვინ იცის ავდარმა გზაში მოუსწრო, ვინ იცის აუტყდა რამე!.. რაღა გვეშველება... მართალია, ცუდად გვექცევა, მაგრამ, რაც უნდა იყოს, ჩვენი „ბედისწერა“ ის არის!..—ათასჯერ წუწუნებდა ქეთევანი.

წუხანდელ შიშის მერმე, მაგდანა ამაღამ აღარ აპირობდა ამათსა დარჩენას, მაგრამ, ეგონა, ძია უთუოდ მოვიდოდა. ეხლა კი ჰფიქრობდა: „გათენდება თუ არა, მაშინვე შინისკენ მოვკურცხლავო“.

დათიკო გაირინდა, თავი მისდო დედის მუხლისთავზე, მიილულა და თავის სანატრელ შაურიანი თოფის ფიქრებში ჩაეძინა.

დედამ საბანი წააფარა.

XIV

დათიკომ სიზმარში თოფი ნახა: მითომ იმის მამას ქალაქიდან მოეტანა შაქრის წითელი კვერცხი და პატარა თოფი, სწორედ ისეთი, როგორიც უნდოდა. კოლას რომ თოფი ჰქონდა, იმისთანა. დადიოდა ტოლებში და ყველას გახარებული უჩვენებდა: „აი, მე რა მაქვსო“. ჩახმახს მალმალე შეაყენებდა, და ხუჭავდა თვალებს, გამოსწევდა, დააცემინებდა და ტკაცანზე თითონაც შეხტებოდა ხოლმე. სიზმარშივე ელირსა პასკის ჭამასაც, კირკიტი კვერცხის დაკვრასაც. პასკაც გემრიელად ეჩვენა, შაქრის კვერცხიც ძალიან მოსწონდა. მაგრამ თოფი კი ყველაფერს ერჩივნა. ბოლოს მითომ თავის ძია ოსეფას წაჰყვა ტყეში სანადიროდ. ერთს ბუჩქზე დაინახა: შოშია ჭიკჭიკებდა. ჩუმად მიეპარა, დაუმიზნა, ესროლა და ძირს ჩამოაგდო. სახქაროდ მივიდა, აიტაცა და შინჯვა დაუწყო. ნახა, რომ სული ჯერ კიდევ ედგა. საბრალო კნწს აქეთ იქით აგდებდა. თითქო დათიკოს აყვედრიდა: „ტკბილი სიცოცხლე რად გამიმწარე, ხომ არაფერი დამიშავებიაო“. დათიკოს ისე შეეცოდა რომ ნანობდა: „ახ, ნეტავი არ მომეკლა!.. ვინ იცის, პატარა ბარტყებიც ეშივრები დაურჩნენ!.. რად მოვარტყი?!.. რაც უნდა იყოს, თავისდღეში შოშიას აღარ ვესვრიო“!.. მიიხედ-მოიხედა: ძია ვეღარ დაინახა, შეეშინდა და ძებნა დაუწყო: „ტყეში ხომ მგლებიც იქმნებიან, ჩემი თოფი მგელს ვერ მოჰკლავს“!.. ამ დროს თითქო მოელანდა კიდეც: „ძიაა“!.. შეღრიალა და გულ-გახეთქილმა თვალები გაახილა.

გაზაფხულის ბრწყინვალე მზეს სანათურიდან სხივები უხვად შემოეშვა და წუხანდელი წვიმის წყლით სავსე, ბნელი მარანი ოქროს ფრად გაეჩაღებინა. მშვენიერი გამოდარებული დილა გათენებულიყო.

დათიკომ პირველსავე ვამორკვევაზე, ბუხრის რაფაზე ქაღალდში გახვეული რაღაც შეამჩნია. გამოიხედა ძირს: წყალი დამშრალიყო, ალაგ ალაგ მარტო ნატალახევი-ღა ეტყობოდა. მაგდანა წასულიყო. ფიქრებისაგან და უძილობისაგან მოქანცულ დედასაც მაგრა მისძინებოდა. მამა ჩაცმულივე მიწოლილიყო, თავზე ძველი ტყავი წაეფარებინა და ცოტა ნამთვრალევივით ხვრინავდა.

დათიკო ჩუმად წამოდგა, ფეხაკრეფით მივიდა ბუხართან, ფრთხილად ჩამოიღო რაფიდან შეხვეული ქაღალდი და გახსნა. გახარებულმა ისევ შეახვია და თავის ადგილას დასდო.

ქაღალდში თოფი იყო. თოფი და მერე როგორი თოფი? შაურიანი თოფი კი არა, ექვსი შაურიანი... წითლად და ყვითლად შეღებილი.

— აბა, ახლა მეტრაბახოს, კოლამ, აი!..—ფიქრობდა დათიკო.—ჩემი თოფი, ჯერ ერთი, კოლას თოფზე დიდიც არის, ბჭყრიალებს კიდეც. იმის თოფსავით არც უბრალო ტყვიისა არის!..

დათიკო ხალისიანად მივიდა ტახტთან, მამის ტალახიანი ჩუსტები აიღო, კარგად დაფხიკა, დაასუფთავა და დააწყო თავის ადგილას. მერმე წინდები დაფშვნიტა, ააშორა, რაც ტალახები ჰქონდა და ისინიც ჩუსტებს გვერდსვე მიუწყო. ლიტრით წყალი და ტაშტიც მოუმზადა. უნდოდა, ჩოხაც გაეწმინდა, მაგრამ მამას ზედ ეცვა. ვერ ისვენებდა. მამა აღარ იღვიძებდა. დათიკოს კი ისე ძლიერ ეჩქარებოდა: „ჩამოვიდო და ბარემ მქონდეს, ვაი, თუ გამიჯავრდეს“!—ფიქრობდა დათიკო და თან თავს ინუგეშებდა: „მოვიცდი, ისევ თითონ მომცემსო“.

როდის, როდის პეტრემ გამოიღვიძა. ტახტზე წამოჯდა. იზმუზნებოდა, თვალებს იფშვნეტდა. ოთახში, მისი უფლებრივი მბრძანებლობის ჰაერი ტრიალებდა.

ქეთევანმაც მაშინვე თვალები გაახილა. დათიკომ მამას ფეხსაცმელები ახლო მიუწყო და მის ყოველ მოძრაობას თვალს ადევნებდა. პეტრემ ჩაცმა დაიწყო. დათიკოც ეხმარებოდა.

— ტაშტი!—მოიკითხა უცებ პეტრემ, როცა ჩუსტები ჩაიცვა.

დათიკომ ტაშტიც და ლიტრაც სახქაროდ მიაგება. თან წყალს უსხამდა და თან ცალი თვალი რაფისაკენ მიურბოდა.

— ე სწორედ დაასხი წყალი, რა ირემივით ატრიალებ თვალებსა!—შეუტია მამამ.

პეტრემ პირი დაიბანა, შეიმშრალა, მერმე აიკიდა ხურჯინი, ჩამოიღო რაფიდან ქაღალდში შეხვეული თოფი და გასწია ბატონიანთკენ.

ცრემლებ-მორეული დათიკო დედასთან მივიდა:

— თოფიც წაიღო, დედა, შეღებილი თოფი!..

ქეთევანს გული ჩაეთუთქა.

(შემდეგი იქნება)

**გ. ხეჩუაშვილი.**

3) სახლის პატრონები ნიკოლოზ ხაჩატუროვ და ნატალია ანდრონიკაშვილისა ხუთ-ხუთი მანეთით სახლის წინ ფარნების უქონლობის გამო; თუ ჯარიმას არ გადაიხდიან, სამის დღით დააპატიმრებენ

◆ **ტრამვაი.** ტრამვაის საზოგადოებას განუზრახავს ტფილისში ტრამვაის ვაგონებს „ვესტინგაუზენის" ტორმოზები გაუკეთოს. გუშინ ავჭალის ქუჩაზე პირველად გაუშვეს ვაგონი ამ ტორმოზით და კარგი შედეგი მოჰყვა.

◆ **ექსკურსია.** 5 ოქტომბერს საექსკურსიოდ მცხეთაში იყვნენ ტფ. „სახელოსნო სასწავლებლის მოსწავლენი, რიცხვით 80 კაცამდე. მოსწავლეებმა დაწვრილებით დაათვალიერეს შესანიშნავი ადგილები და საღამოს ისევ ტფილისში დაბრუნდნენ.

◆ **ქალაქის ლომბარდი.** ტფ. ქალაქის ლომბარდში სექტემბრის განმავლობაში დაუგირავებიათ 28,335 მანეთის ნივთი. ამავ ხნის განმავლობაში ლომბარდს გაუყიდნია 1.198 მანეთის ნივთი.

◆ **ხოლერა.** გუშინ და გუშინ წინ ტფილისში ხოლერით ავად არავინ გამხდარა.

◆ **ქალაქის ბაკში.** სექტემბრის განმავლობაში ქალაქის ბაკში მოურეკიათ: მსხვილი საქონელი 10,574 სული, წვრილი საქონელი 20,057 სული. ბინის ქირა საქონლის პატრონებს გადაუხდიათ ქალაქის სასარგებლოდ სულ 20,060 მან. 25 კ.

◆ **თავის მოკვლის განზრახვა.** 5 ოქტომბერს მეჩეთის ხიდიდან მტკვარში გადავარდნას აპირობდა მარიამ გიორგის ასული მაზმანაშვილისა, მაგრამ პოლიციელმა გადარჩინა. მაზმანაშვილისამ განაცხადა, სიცოცხლე მომბეზრდაო.

◆ **ცირკი.** გუშინ ტეხნიკოსებმა ქალაქის თვითმმართველობისა და ადმინისტრაციის თანადასწრებით დაათვალიერეს ცირკის ახალი შენობა იმის შესამოწმებლად, თუ რამდენად უშიშარია იგი ცეცხლის მხრით.

◆ **ტფ. ქალაქის თავშესაფარში.** სექტემბრის განმავლობაში ქალაქის თავშესაფარში ყოფილა სულ 105 კაცი.

◆ **სამშობიარო სახლი.** ტფ. ქალაქის სამშობიარო სახლში სექტემბრის განმავლობაში ყოფილა სულ 134 ქალი. ამავ ხნის განმავლობაში გამოწერილა 131.

◆ **შეღავათი აფიცრებს.** „არტისტულ თეატრის" ანტრეპრენიორს ნიკულინს გადაუწყვეტია, რომ აფიცერთათვის პარტერის ყველა ადგილებზე შეღავათიანი ბილეთები შემოიღოს.

◆ **თავის ჩამოხრჩობა.** სამშაბათ დილით ალექსანდრეს ბაღში იპოვნეს ხეზე ჩამოკიდებულ კაცის გვამი, როგორც სჩანს მუშისა. როგორც გამოირკვა ის ყოფილა ივანე ალექსანდრეს ძე ჩერნიაევი, როსტოვიდან. იგი მსახურებდა თურმე ზიბერტის საკაზმავ სახელოსნოში.

◆ **სამხატვრო სკოლაში.** ტფილისში არსებულ სამხატვრო სკოლაში 12 მასწავლებელი ქალი ჩაწერილა. ამათ სურთ შეისწავლონ ხატვა და ქანდაკება, რომ შემდეგ სკოლებში თავის მოსწავლეებს ასწავლონ.

◆ 5 ოქტომბერს ტფილისში პოლიციამ 13 უპასპორტო შეიპყრო.

◆ 5 ოქტომბერს ელისაბედის ქუჩაზე იპოვეს ჩვრებში გახვეული ბავშვი, მდედრობითი სქესისა, დაახლოებით 4 დღისა. ბავშვი ოლგას საბებიო ინსტიტუტში გაგზავნეს.

◆ 4 ოქტომბერს, საღამოს 5 საათზე, ელისაბედის ქუჩაზე პოლიციელმა შეამჩნია ვიღაც უცნობი, რომელმაც პოლიციელის დანახვაზე აქეთ იქით ცქერა დაიწყო და შემდეგ მუშტაიდისკენ გაქანა. პოლიციელი თან დაედევნა. უცნობი მაშინვე მტკვარში შევარდა მეორე ნაპირას გასასვლელად. პოლიციელმა მას რამდენჯერმე რევოლვერი ესროლა წყალში, მაგრამ ვერ მოარტყა. ამის შემდეგ პოლიციელი თვითონაც შეცურდა წყალში და უცნობს დაედევნა. ჩქარა პოლიციელს მიეშველა ნავი, რომელიც გაგიდა მეორე ნაპირას, და უცნობი შეიპყრო, ხელ-ფეხი შეუკრა სალდათების დახმარებით და პოლიციაში წაიყვანა. უცნობი აღმოჩნდა ტფილისის მცხოვრები ფედოტი ვასილის ძე ბიკოვი, 25 წლისა. გამოირკვა, რომ ის პოლიციას იმიტომ ემალებოდა, რომ ორი ფუთი ხორცის მოპარვა ბრალდებოდა.

# მოწერილი ამბავი

**დ. ხონი.** საყურადღებო ამბავი მოხდა ამ დღეებში ხონის სამოქალაქო სკოლაში.

მასწავლებელმა ა. კ—ძემ მეექვსე კლასის ერთ მოწაფეს სცემა. ამ ცემის გამო მთელმა კლასმა მასწავლებელს უკმაყოფილება გამოუცხადა და ერთ დღეს ურჩობა გაუწია. მასწავლებლის სიტყვა არ გაიგონა. მოწაფეთა ასეთმა საქციელმა უფრო გააჯავრა ბ-ნი მასწავლებელი და დაიწყო კვლევა—ძიება. უნდა გაეგო ვინ იყო მოთავე მოწაფეთ შეგულიანებისა ტკბილის სიტყვებითა და მლიქვნელობით მალე ჯაშუშები იპოვნა და დამნაშავე მოწაფე სასწავლებლიდან დაათხოვნინა.

ასე უსამართლოდ მოიქცა ბ ნი კ—ძე და ამავე დროს თავისთავს მოწინავესა და პროგრესისტს უწოდებს. აბა რა ხეირს ისწავლიან ჩვენი შვილები ამისთანა მასწავლებლისაგან.

**აქილესი.**

—

**ონტოფოს საზოგადოება** (სამეგრელო) ბანძიდან მიმავალი ებრაელ ვაჭრების გამძარცველთა კვალი (იხ. სხ. გ. № 111) ბანძის საზოგადოებაში მდებარე ს. მახათში მიიტანა ადგილობრივმა პოლიციამ, ყრილობა მოახდინა და მცარცველები მოითხოვა. საზოგადოებამ ეჭვი აიღო წინადაც ქურდობით ცნობილ ჭელიაზე. პოლიციამ ალყა შემოარტყა მის სახლს, მაგრამ ჭელია იმავდღესვე სადღაც მიიმალა.

—

**ჭიათურა.** მას შემდეგ რაც ექიმი სვიმონ დავითის ძე ჯაფარიძე აქედან წავიდა, ჭიათურის საავადმყოფოს საქმეები სულ აიწეწ-დაიწეწა. საავადმყოფოს ავად-მყოფები გაურბიან და წამლობაზე ხელს იღებენ. სულ ბ-ნ ჯაფარიძის მოლოდინში არიან. კარგს იზამს ბ-ნი ჯაფარიძე, რომ მალე მოიგონებდეს და მის მოლოდინე ავად მყოფებს რაიმე ნუგეშს მისცემდეს.

**სახალი ხეველი.**

—

**ქვემო იმერეთი.** მეტის მეტად გავრცელებულია სხვა და სხვა ავადმყოფობა. სენთა გავრცელებას ხელს უწყობს ცხენის წყლიდან გამოყვანილი არხები. საქმე იმაშია, რომ ეს წყლები არხების სიცუდის გამო, გადმოდის ნაპირიდან, გუბეებად დგება, წყალი ყროლდება და სწამლავს ჰაერს. სასურველია, რომ ამ გარემოებას ყურადღებას მიაქცევდეს მირაბი წყლისა და შეაკეთებდეს არხებს. ავადმყოფობის გავრცელებას, ეჭვი არაა, ხელს ისიც უწყობს რომ ყანებში მუშები სასმელ წყალს მოკლებულნი არიან. ქვემო იმერეთის საყანე ადგილებში, თუ არა ვცდები, ერთი ჭაა და ისიც მეტად უსუფთაო. ამ ჭას ამოწმენდა თავის დღეში არ ღირსებია, რაც ხალხის დაუდევრობით აიხსნება.

თითოეული სოფელი ქვემო-იმერეთისა კვლავ 4 დარაჯს ინახავს. გადის ხანი, მშვიდდება სოფელი, მაგრამ დარაჯებს მაინც არ აშორებენ. დარაჯების ჯამაგირი, ე. ი. ყოველ თვიურად 100 მანეთის გადახდა, სოფელს ძრიელ უჭირს. მაგრამ ან კი ვისა აქვს სოფლის ჯავრი.....

ამ ჟამად ხონიდან სამტრედიამდე გზას აკეთებენ. აკეთებენ აგრეთვე გაფუჭებულ არხებსაც.

ქვემო იმერეთის სოფლებში ჟურნალ გაზეთების აგენტურა ნაკლებაა მოწყობილი. სასურველი კია, რომ აგენტურა ყოველ სოფელში მოეწყოს, რათა ყველას შეძლება მიეცეს ჟურნალ-გაზეთების კითხვისა.

**იბერი.**

—

**ს. კარდანახი.** (სიღნაღის მაზრა) აქეთ რთველები უკვე დამთავრდა. საზოგადოდ, წელს მცირე მოსავალი იყო, თუმცა ზოგი ერთს შარშანდელზე მომეტებული მოუვიდა.

ერთხელ და ორჯელ არ ყოფილა გაზეთებში ნათქვამი, რომ სიღნაღის მაზრის სოფლები ქიზიყის გარდა, მარტო ვენახებით ირჩენენ თავს.

დაიწყო რთველები და ჩარჩი-მოვაჭრეც ბუზივით აირია: გაჭირვებულ გლეხებისაგან ნახევარ ფასში ყიდულობდნენ ყურძნიან ვენახებს. ზოგია წურბელებს ვიდა ჩიგის, ხშირად დიდი ბობოლებიც გვესტუმრებიან ხოლმე და სამი-ოთხი თვე გვეჯაჭულობენ: ადა, როდის მოვა ჩემთან გაჭირვებული გლეხიო. უნდა მისი ნაშრომი სულ მცირე ფასში იყიდოს. ასეთი ვაჟბატონები ბევრი შემოეხვია ჩვენ სოფლებს და როგორც უნდათ, ისე [illegible] შებენ.

თვით ჩვენი სოფლის პოვაჭრეები ხომ უარესად აძრობენ ტყავს საწყალ გლეხებს; მაგალითად ერთი შეკვრა თუთუნი ღირს ცხრა კაპეიკი, ესენი კი თორმეტად ჰყიდიან, თუმცა ზედვე წარწერილი აქვს: მეტს ფასში გაყიდვა აკრძალულიაო. ასევე ძვირად ჰყიდიან ჩაისა, შაქარსა და ათას სხვა რამეს მაგრამ ყურს ვინ უგდებს?

საკლავის გაყიდვას ხომ ნუღარა ბრძანებთ, როგორც მოუსურვებენ, ისე გაჰყიდიან.

სოფლის მეთვალყურეები დაიწყობენ ხოლმე ჯავრობას: როგორ თუ ძვირად გაგიყიდნიათო, მაგრამ აქაურმა მედუქნეებმა ამისი უებარი წამალიც იციან: ხელდახელ „ზაკუსკა" და.., მერე გიორგანქა ხორცი თუნდა მანეთად გაჰყიდე, ვინ არის დამშლელი?!..

**კარდანახელი.**

# თეატრი და ხელოვნება

**ქართული თეატრი.** დრამატიულმა საზოგადოებამ სამშაბათს, ნაცვლად მორიგ წარმოდგენისა, სალიტერატურო სალამო-მეჯლისი გამართა და კარგადაც მოიქცა: დრო-გამოშვებით ასეთი სალიტერატურო სალამოების გამართვა ძალიან სასარგებლოა. ახალგაზდა მწერლებმა წაიკითხეს თავიანთი ნაწარმოებნი, ქართველმა მხატვრებმა გამოჰფინეს სურათები, ბოლოს კი გაიმართა ევროპიული და ქართული ცეკვა. კარგი მოთხრობები წაიკითხეს სვ. ყიფიანმა და ილია ელეფთერიძემ. სვ. ყიფიანმა დაგვისურათხატა ჩვენებური მოქეიფე ახალ-გაზდა. მართალია მთელს მის აღწერილობას მხოლოდ დეკორატიული ხასიათი ჰქონდა, საშინელი სენი ჩვენი საზოგადოებისა—ქეიფი და ამ ქეიფთან დაკავშირებული საზიზღრობანი უფრო ღრმა ჩაკვირვებასა მრავალ-ფეროვან დასურათხატებას მოითხოვდა, მაგრამ მოთხრობა მაინც საკმაოდ კარგი გამოდგა. ახალ-გაზდა მწერალს კარგად შეუსწავლია მოქეიფის ტიპი, რომლის ხასიათი სიტყვებისა და წინადადებებს განსაზღვრულად დალაგებაშიაც კი გამოიხატებოდა. პატარა ამბავში ამაზე უკეთესად გამოქანდაკება მოქეიფის ტიპისა შეუძლებელი იყო. ძალიან მოხდენილი ნოველა წაიკითხა ილია ელეფთერიძემ. ნოველაში ბუნებრივისა და გადაუმლაშებელ იუმორით იყო აწერილი ეჭვები ერთის ქმრისა, რომელსაც ცოლი ჰღალატობს, მაგრამ მას კი ვერაფერი გაუგია. მოტყუებული ქმარი ცდილობდა დაეჯერებინა თავისი თავი, რომ მის ცოლს, ყოვლად სათნოიან არსებას, ქმრისა და ოჯახის ღალატი ვერ შეეძლო, ყოველს ფაქტს, რომელსაც მართლა ეჭვები უნდა აღეძრა მისთვის თავისებურად ხსნის და ასე თავს იტყუებს. ერთი უბრალო შემთხვევა, სახელდობრ ის, რომ ცოლსა და მის შორეულ ნათესავ—მოარშიყეს ქმართან კოცნისა არ შერცხვა, სრულიად აჯერებს ცოლის სათნოებაში. ასეთი უბრალო რამ ყოფილა საჭირო ადამიანისთვის მოსატყუებლადო! დიდის თანაგრძნობით შეხვდა საზოგადოება ჩვენს ახალგაზდა ნიჭიერს პოეტს ი. გრიშაშვილს, რომელმაც ორი მოხდენილი ლექსი წაიკითხა. კარგს იზამს ბ-ნი გრიშაშვილი, თუ ერთსა და იმავე ლექსს რამდენჯერმე არ წაიკითხავდეს. ქართულ თეატრში თითქმის ერთი და იგივე საზოგადოება დადის და ამიტომ ერთხელ წაკითხულის მეორედ მოსმენა მაინცა და მაინც ძალიან საინტერესო არ არის. ბ-ნს ი. მაჭავარიანს ძალიან სუსტი ლექსები აურჩევია წასაკითხად, და ამიტომ მსმენელებზედაც კარგი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა. კარგი იყო ქ-ნ ცქვიტის ნოველაც, მაგრამ მის წაკითხვას მაინც არ ვურჩევდით, რადგანაც თეატრის ჭრელი აუდიტორიისთვის სილამაზე ეკალის გოდებისა და საზოგადოთ ასეთი იდილიურ სურათისა გაუგებარი რჩება. ბ-ნი ნარკანიც ეტყობოდა რაღაც საინტერესოს კითხულობდა, მაგრამ საუბედუროდ ისე გაურკვევლად კითხულობდა, რომ ვერაფერი გავიგეთ. საზოგადოთ, ჩვენის აზრით, იმ მწერლებმა, რომელთაც დეკლამაცია არ ეხერხებათ, სხვებს უნდა მიანდონ ხოლმე ნაწარმოების წაკითხვა. სალიტერატურო ნაწილი დაამთავრა ჩვენმა მცხოვანმა პოეტმა აკაკიმ, რომელსაც საზოგადოება ტაშის ცემით მიეგება. აკაკიმ რამდენიმე ლექსი წაიკითხა საჭიროპოროტო კითხვებზე.

ძალიან ლამაზად იყო დადგმული ცოცხალი სურათები: სიყვარული აღმოსავლეთში. მხიარულად ჩაატარეს აგრეთვე ვ. ბალანჩივაძის ვოდევილი „უბედური დღე". რომელშიაც ბ-მა ზარდალიშვილმა მშვენივრად შეასრულა ქუთათურ ებრაელის როლი. ხალხი, შედარებით სხვა დღეებთან, ბლომად დაესწრო.

**Homo.**

—

**ქუთაისი.** 3 ოქტომბერს, ქუთაისის ქართველი დრამატიული საზოგადოების დასმა წარმოადგინა 3 მოქმედებიანი პიესა „აღსდგა მკვდრეთით! ანუ მარუჩჩა". ეს პიესა, რომელიც მგონი, პირველად დაიდგა ქუთაისის სცენაზე რაღაც ნაძალადევი და ყალბია თავის შინაარსით, ეფექტიური ადგილებით კი მდიდარია. ეტყობა, ავტორის პიესის გარეგან მხარესთვის მეტი ყურადღება მიუქცევია, ვიდრე შინაგანისთვის. პიესა, საზოგადოთ, კარკად იყო წარმოდგენილი. რეჟისორსა და მსახიობთ ეტყობოდა, შრომა არ დაეზოგათ, რომ ანსამბლი შეექმნათ; მასთან რეჟისორის ხელი ძლიერ აჩნდა სცენასაც, რომელიც ლამაზად იყო მოწყობილი და კარგს შთაბეჭდილებას ახდენდა. მაგრამ ეს წარმოდგენა მით უფრო არის ღირს აღსანიშნავი, რომ მან შეჰმატა ქუთაისის სცენას ერთი კარგი ძალა. ეს გახლავთ ახალგაზდა ქალი ქ-ნი ა. ქიქოძის ასული, რომელიც ქუთაისის სცენაზე პირველად გამოდის. მიუხედავად იმისა, რომ მას ისეთი ძნელი, პასუხსაგები როლი ეკისრა (მარუჩჩასი), სადაც საჭიროა დახელოვნებული მსახიობი, მან პირნათლად ჩაატარა ნაკისრი მოვალეობა და საზოგადოებაში დიდი აღტაცება გამოიწვია: მოხდენილს, მადლიანს თვალტანადობასთან ერთად მას ხმაც კარგი აქვს, მიხვრა-მოხვრაც თავისუფალი და ბუნებრივი და მიმიკა მდიდარი; მასთან როლიც ჩინებულად იცოდა. ჩვენის ფიქრით თუ ქ-ნმა ქიქოძის ასულმა შრომასა და საზოგადო განვითარებას საჭირო ყურადღება მიაქცია და მარტო რეჟისორის მიერ მიცემული როლების შესწავლით არ დაკმაყოფილდა, ჩვენს სცენაზედ ერთ საპატიო ადგილს დაიჭერს. დაე, ნუ გაიტაცებს მას ნურავის ქება და მარტო ბუნებისაგან ბოძებული ნიჭის იმედით ნუ იქმნება, როგორიც ამას ხშირად ვხედავთ, სამწუხაროდ, ჩვენს მსახიობთა და მწერალთ შორის. მას, როგორც ნიჭის პატრონს და გარეგანის მხრითაც დაჯილდოვებულს, მეტი შრომა და მეცადინეობაც მოეთხოვება, რომ თავის ნიჭსა და ღირსებებს „მისცეს გზა ფართო" და უსარგებლოდ არ ჩაიკლას.

აქ არ შემიძლია ქ-ნის ქიქოძის ასულის მცირე ნაკლულოვანებაც არ აღვნიშნო, რომელიც სხვა მსახიობისთვის, იქნებ, ვერც კი შევამჩნია: ხშირად ქ-ნი ქიქოძის ასული სრულიად უადგილოდ მხრებს მაღლა სწევს (რაც გაკვირვების გამომხატველია). საჭიროა, ამ ჩვეულებას ახლავე მიაქციოს მან ყურადღება და როგორმე გადაეჩვიოს, თორემ შემდეგში ძნელი მოსაშლელი იქმნება. მასთან საჭიროა, რომ ქართულ კილოსაც (დიქციას) მიექცეს ჯეროვანი ყურადღება.

მხიარულს ვოდევილ „რუკი ვერხ"-ში ბ-ნმა ვ. ურუშაძემ ბევრი აცინა საზოგადოება, თითქმის კიდეც გადააჰარბა.

აქ საჭიროდა ვსცნობ აღვნიშნო, რომ კანდარის ახალკაზდობა მეტად თავდაუჭერლად იქცევა, რაც საზოგადოებაში დიდს უკმაყოფილებას იწვევს. ამდენ ხანს აღტაცების გამოსახატავად ტაშის ცემას, ვაშას ძახილსა და სცენაზე ვარდ-ყვავილების, ქუდების თუ ცხვირსახოცების სროლას ჯერდებოდენ, ახლა კი ბიჭების, მსხლების და ვაშლების სროლაც შემოიღეს. (ამით უთუოდ უადრესი აღტაცების გამოხატვა სურთ). მაგრამ ამ დათვურ პატივისცემას სამწუხარო შედეგი მოჰყვა და მსახიობს ე ანდრონიკაშვილის ასულს ხელი კინაღამ მოსტეხეს.

**ისარი.**

# რუსეთი

**პურიშკევიჩის სტუმრობა,**

მოსკოვის საეპარქიო სახლი რუსის ხალხის კავშირის წევრებით იყო გაჭედილი. ესენი პურიშკევიჩის პატივსაცემლად იყვნენ შეკრებილნი. ცალკე, საპატიო მაგიდას უსხდნენ მოსკოვის მიტროპოლიტი ვლადიმერი, არქიეპისკოპოსი ალექსი, იაპონიის ქორ-ეპისკოპოსი სერგი. საღამოს განაგებდა ცნობილი დეკანოზი ვოსტორგოვი, რომლის წინადადებით კრებამ „მრავალ-ჟამიერი" უმღერია პურიშკევიჩისთვის. მ. ვოსტორგოვმა თავის სიტყვაში მოიხსენია პორტუგალიის რევოლუცია. „პორტუგალიის უკანასკნელი ამბები—მონარქიულ საფუძველთა დამხობა—საზოგადო თანაგრძნობას იწვევს და იმას ამტკიცებს, რომ რუსეთში ისევ რესპუბლიკური მიმდინარეობაა. აქაც თავ-გამოდებით ემზადებიან რევოლუციურ აჯანყებისათვის. მაშასადამე, დაასკვნა ორატორმა, საჭიროა წესიერების აღდგენა „რკინის ხელით". მან ურჩია პურიშკევიჩს გაუფრთხილდეს თავის სიცოცხლეს, რომელიც იწვის რუსეთის სადიდებლად, „კითარცა ორივ მხრივ ანთებული სანთელი". კათედრაზე ადის თვითონ პურიშკევიჩი, რომელსაც არ უნდა ამ ხელად კრება შეაწუხოს სახელმწიფო სათათბიროს მოღვაწეობის ანგარიშით; ეგ სათათბირო მისის აზრით, „მაჯლაჯუნაა რუსეთის ცხოვრებისა". პურიშკევიჩი პოეტიურს გუნებაზეა და კრებას უკითხავს თავის საზაფხულო დასვენების შემოქმედების ნაყოფს—„მოგზაურის შენიშვნები". 250 გვერდიან ლექსებიდან ავტორს მოჰყავს ნაწყვეტები, რომელიც ახასიათებს საზღვარ-გარეთულ რუსთა საზოგადოებას. ავტორის აღსარება, რომ იგი მიჩვეული არაა ზრდილობიანს, „ბონტონურს" სიტყვებს, კარგად ახასიათებს ახალს ნაწარმოებს, რასაკვირველია, პოემის მთავარი მომქმედი პირებია „ურიები და რევოლიუციონერები". მან არ დაივიწყა აგრეთვე საზღვარ-გარეთელი რუსის ქალები მაგრამ... ვერ გაბედა ეს ადგილი თავის პოემისა წაეკითხა მღვდელ-მთავართა წინაშე. კრებამ პურიშკევიჩი დიდის ოვაციებით გააცილა.

# წერილი რედ. მიმართ

ბ. რედაქტორო! გთხოვთ თქვენ გაზეთში ადგილი დაუთმოთ ამ ჩემ წერილს. (ოზურგეთის რეალურ სასწავლებლის მომწყობ კომისიის საყურადღებოდ).

ოზურგეთში იყო რეალურ სასწავლებლის მომწყობი კომისია, მაგრამ მისი არსებობა რაღაც მიძინებულია და ამ გარემოებით პირველად, ეს დიადი საქმე დაავიწყებას ეძლევა, მეორე ის არის, რომ, ფულის მომკრები კომისიებიც დიდ განსაცდელში ვართ საზოგადოების წინაშე. და, აი, რის მიზეზით ჩვენ, ფულის მომკრებმა კომისიამ, ნებართვის აღებამდე, ერთგულება გამოვიჩინეთ და ფული თითქმის ნახევარზე მეტი მოვკრიბეთ. მოკრებილი ფული პოლიციამ ჩამოგვართვა და, როგორც ვიცი, დეპოზიტში წარადგინა და ჩვენ კი გადამხდელები, გვეუბნებიან, რომ ჩვენი ფული შეჭამეთო. აი, სწორედ ამიტომ ვსთხოვ ზემო-აღნიშნულ კომისიას და დიად საქმეს ჯეროვანი ანგარიში გაუწიოს, რის საშუალებით ჩვენ ფულის მომკრები კომისიებიც საზოგადოების წინაშე გავმართლდებით.

ფულის მომკრებთა კომისიის ერთი წევრთაგანი **დ. ნ.**

# განცხადებანი


აგენტი
**ი. გ. ხალათიანი**
რეკლამებს, პუბლიკაციასა და განცხადებებს

ვკისრულობ ადგილობრივსა და რუსეთის სხვა ქალაქების გაზეთებსა და ჟურნალებში, ძლიერ შეღავათიანის პირობებით, ფასის ნაწილ-ნაწილად გადახდით. ვკისრულობ აგრეთვე ყოველგვარ სტამბის საქმეს. დიდი ხნის გამოცდილება მაქვს. გთხოვთ სხვა აგენტებს არ დამადაროთ.

დროებითი ადრესი: გაზ. „Нов. рѣчь"-ის კანტორა, ტელეფ. № 20.

ყოველ დავალებას პირნათლად ვასრულებ. ყველა რეკლამებს თვითონვე ვადგენ.

ა. ქ. ბუძალიშვილი [illegible] ფასები ზომიერია (10—103—5)

**დოქტ. ნავასარდიანისა**
უქველ დღე, კვირეებს გარდა დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

დ ი ლ ი თ:

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.
ყ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. შალისა, შინაგანი და ნერვებისა,
ზ. ი. ბაბანახოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
მ. მ. პუგინოვი. 12—1 ს. შინაგანი, ბ-ვშვებისა და ყვავილის აცრა.
ა. პ. კარაპეტიანცი 1—1½ ს. შინაგან. და საბავშვო.
ბ. გ. აგასაროვი: 1½—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ქალ. ექ. პ. ს. ზილბერმანი: 5—6 ს. სამებ., ქალ. და ბავშ. ავად.
ო. ვ. გეევსკაია-ინგელი: 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ი. ფ. მარციშევსკი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიცი. დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.

ძმათა ავსარქისოვების
**ბაღსა და სანერგეში**
მოიპოვება საზღვარ-გარეთისა, რუსეთისა და ადგილობრივ საუკეთესო ჯიშის ხეხილი.
კატალოგები იგზავნება მოთხოვნისაანავე უსასყიდლოდ.
მისამართი: სად. სკრა, ამიერ-კავკასიის რკინის გზისა.
(15—55—9) ავსარქისოვები

**საბუღალტერო კურსები**
ტფილისი, სანაპირო ქუჩა, ვერის ხიდთან № 19.
**ი. ფონ-ბრენნერისა,**
(სახალხო განათლების სამინისტროს სამეცნიერო კომიტეტისაგან და ფინანსთა სამინისტროს სასწავლო განყოფილებისაგან ყველა საკომერციო სასწავლებელში სახმარებლად მოწონებულ სახელმძღვანელოების ავტორისა).

კლასსები დაარსებულია 1890 წ. და ცნობილია სამოსწავლო მთავრობის მიერ. კლასები აძლევენ სპეციალურ საკომერციო მომზადებას ორივ სქესის პირთ, ვისაც ჰსურს მიიღოს ადგილი ბუჰხალტერის, კორესპონდენტის, ანგარიშთა მწარმოებლის აგენტისა და სხვა.

კლასსებში ასწავლიან შემდეგ საგნებს: 1) **ბუჰხალტერიას** (ორმაგი, იტალიური) და სხვა სისტემები, საგანგებო ანგარიშების წარმოება: საბანკო, საფაბრიკო, საქალაქო და საერობო საბჭოების, არყის მონოპოლიის, სარკინიგზო, სახოფლო სამეურნეო და სხვა. სწავლება დაყენებულია პრაქტიკულად და მოსწავლენი პირველ გაკვეთილიდანვე ეჩვევიან საკუთრივ აწარმოონ წიგნები. 2) **კომ. არითმეტ.**—საბანკო, საქონლისა, სავექსელო და სხვა ანგარიშებისა. 3) **კორესპონდენციას**—კომერციულ წერილების შედგენა საბუჰხალტერო სწავლის, კომერციულ არითმეტიკის და სავაჭრო კანონების მიხედვით, 4) **კალლიგრაფიას**—ხელის გასწორებას სხვა და სხვა ხასიათის შრიფტების შესწავლას; 5) **კანონდებას**—სავექსელო, საგერბო, სამრეწველო, საკრედიტო და სხვა წესდებათა შესწავლას. 6) **საწერ მანქანებზე წერას**; მოსწავლეთა განკარგულებაში იმყოფება 10 სხვა და სხვა სისტემის მანქანა, რომლებზედაც თავისუფალ დროს შეუძლიანთ თავისი სამუშაო გაიკეთონ. ამასთანავე ტეხნიკოსის ზედამხედველობით შეისწავლონ ტეხნიკა და მანქანების მექანიზმი. 7) **საქონლის ცნობას**,—გააცნობს მოწაფეებს ადგილობრივ ბაზრის უმთავრეს საქონლის ქიმიურ შედგენილობას და იმას თვისებათა გამორკვევას. ამ მიზნისთვის კლასსებს საგანგებო კაბინეტი აქვს მოწყობილი. 8) **ანგარიშის ჩოთქზე**—არითმეტიკულ და ალგებრაულ ამოცანების კეთებას. განმარტებული და ამერიკული წესები, ყველა არითმეტიკული მოქმედებანი და ამოცანების კეთება მთელის კურსის განმავლობაში წარმოება მხოლოდ ჩოთქზე. მოსწავლეთა საერთო და საგანგებო განვითარებისათვის მოწყობილია ბიბლიოთეკა საუკეთესო სახელმძღვანელოებით სასწავლო საგნების ლიტერატურიდან მოსწავლეებს წიგნები შინ წასაღებადაც ეძლევათ.

კლასსებში კურს დამთავრებულთ უსასყიდლოდ შეუძლიანთ იქონიონ **პრაქტიკა** ი. ფონ-ბრენნერის სატეხნიკო და სავაჭრო—სამრეწველო ბიუროს კანტორაში, რაც, უეჭველია, დიდად სასარგებლოა მოსწავლეებისათვის.

კლასები შესდგება სამის განყოფილებისაგან: 1 განყოფილებაში მიიღებიან წერა-კითხვის მცოდნენი, 2-ში—საქალაქო ან სამკლასიან საშუალო სასწავლებელში კურს დასრულებულნი. და მე-3-ში—ბუხალტერის და კომერციულ არითმეტიკის პრაქტიკული მცოდნენი. დასაწყისი სწავლის 15 სექტ. თხოვნები მიიღება და ცნობები მიიცემა კლასსების კანცელარიაში, ტფილისში, სანაპირო ქუჩაზე, ვერის ხიდთან, საკუთარ სახლში N 19 ან სერგიევის ქუჩაზე N 4. კანცელარია ღიაა ყოველ.-დღედილის 9 6 1—ამდე და საღამოს 5—დან 8 საათამდე. ტელეფონი N 929 და 1044
(20—ბუ—14)




რედაქტორ-გამომცემელი იროდიონ სონღულაშვილი.